იაკობ გოგებაშვილი

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძის-მიერ

თბილისი
სტამბა მ. შარაძისა და ამხ., ნიკოლოზის ქ. N 21.
1900

სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები

იაკობ გოგებაშვილი

თბილისი
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკოლოზის ქუჩა N 21.
1900

იაკობ გოგებაშვილი.

თვითეულ მოღვაწის და მწერლის ღირსება მაშინ უფრო დაფასდება, როცა აღნიშნულ პირის წინა დროება დაწვრილებით თუ არა, გაკვრით მაინც აღიწერება, როცა აღნიშნული დრო აღწერილ პირის თანამედროვე საზოგადოებას კარგათ ექმნება გაცნობილი და თვალ წინ დახატული, მკითხველს ეცოდინება, თუ აღწერილ პირის წინა დროთ და მორბედათ რა ძალა და გარემოება უნდა ჩაითვალოს, რა იყო ის დრო და ხანა, როცა ხსენებულ პირი დაიბადა, გაიზარდა და თვალები გაახილა საზოგადო ასპარეზზედ სამოქმედოთ. ამიტომ ვიდრე ჩვენ დიდათ ამაგდარ მამულის შვილის მოღვაწე იაკობ გოგებაშვილზე დავიწყებთ ლაპარაკს, მინამდის ჩვენა გვსურს შევეხოთ თუ ძველის დროიდგან მოყოლებული აღნიშნულ პირის დრომდის რა მდგომარეობაში იყო მოთავსებული ქართული პედაგოგიკის საქმე, სად ვისგან რა კეთდებოდა ამის სასარგებლოდ.

ძველად, საქართველოს ერს ჰქონდა თავის სახალხო სამრევლო სკოლები, მონასტრის სასწავლებლები, რომელნიც დღეს სემენარიას ედრება და აქა-იქ სასულიერო აკადემიებიცა ქართველებში სწავლა-განათლების სურვილი თითქმის ქრისტიანობის აღორძინების დროსვე დაიბადა და აღორძინდა. ქართველ ბერ-მონოზნების გამრავლებამ დიდი გავლენა იქონია ამ საქმის წინ წაწევაზე. მეხუთე საუკუნეში აქა-იქ იწყეს მონასტერ-ეკკლესიების აშენება, გამრავლდნენ ბერები, წინ წავიდა განდეგილობა, გაჩნდნენ დაყუდებული მამანი, ორდენი ქართველთ ტან-შიშველთ მამათა, „მორჩილთა

მწიგნობართა“, რომელთა ლტოლვილება ცგარემოცული იყო ქართულის ენის და მწიგნობრობის სიყვარულით, განდეგილს და დაყუდებულს თავის მაშველ ლოცვასთან აუცილებელ საჭიროებად მიაჩნდა ქართული წიგნის კითხვა, წიგნების წერა და ხალხში მოფენა. სწორედ ეს აღორძინება ჩაითვლება მის საფუძვლად, რომ **მეხუთე საუკუნის** დამლევს ქართულ მწერლობის ასპარეზზე თამამად გამოვიდა მსწავლული ბერი მძევალი პეტრე ვარაზ ბაკურისძე, ანუ მურვანოზ ეპისკოპოზი, რომელმაც ქართულ ენაზე სთარგმნა ძრიელ ბევრი წიგნები, ნამეტურ სამეცნიერონი და იმ დროის საჭირო ცნობილ ფილოსოფოსთ ნაწერი წიგნები. პირველად ქართულს ენაზედ კარაბადინის თარგმნა ამას ეკუთვნის. სირიიდგან მოსულ მსწავლულთ ქართველთ მამათ შემდეგ ხომ საქართველოში ოთხკუთხივ იწყო მწიგნობრობის გავრცელების დასა-

წყისმა. მეათე საუკუნის დასაწყისიდამ საქართველოში ქართული წიგნების და სკოლების გავრცელების და გამრავლების საქმე უმაღლეს წერტილამდე აღვიდა. აღშენდა ტბეთის სასწავლებელი, გარეჯისა, შიო მღვიმისა, გელათისა, იყალთოსი, ხახულისა, და სხვები. საქმე ისე მოეწყო, რომ სახელოვან დავით აღმაშენებლის დროს ქართველთ საბერძნეთშიაც იწყეს სასულიერო სასწავლებლების დამართვა.

ჩვენის ძველის მწერლების ნაწარმოებიდამ ვის არ გაახსენდება საბერძნეთის მეცნიერება, ფილოსოფოსთა ფილოსოფია, საღმთო მეტყველება, სიტყვა კაზმული მწერლობა და სასწავლებელი წიგნები, რომლებიც ზრდიდნენ, სწრთვნიდნენ და ამშვენებდენ ქართველთ შვილებთ გონებასა. ავიღოთ მაგალითად შავთელის შრომა და მისი არითმეტიკული საპასექო ცხრილი, გავიხსენოთ იოანე პეტრიძის შრომა და მისი მეცნიერებით განვითარება, ავიღოთ შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხვის ტყაოსანი“, ყველა ესენი ჩვენ ცხადად გვამცნევენ, რომ ქართველებს ძველად სახალხო სასწავლებლებიც ჰქონიათ, სასულიერო, საერო და საშუალო სასწავ-

ლებლებიც და თვით უმაღლესი აკადემიებიც. მასთან უმაღლესი საერო და სასულიერო პირებიც მრავლად იზრდებოდნენ და ნამეტურ ისეთი პირები, როგორიც თვით უკანასკნელ საუკუნეს იყო დოსითეოზ ნეკრესელი, იოანე ორბელიანი, პაატა ბატონიშვილი და სხვა წარჩინებულნი გვამნი ქართველთა. ქართველთ მრავლობით ჰქონდათ სასწავლებლები, მასთანვე ჰქონდათ სახელმძღვანელო წიგნებიც, მხოლოდ ჩვენდა საუბედუროთ გარეშე მოზღვავებულთ მაჰმადიანთ თავდასხმამ დაანგრია მონასტერ-ეკკლესიები, მასთან დაინგრნენ და დაიქცნენ სასწავლებლების უმეტესი ნაწილიც. სასწავლებლების გაუქმების შემდეგ გაუქმდა სახელმძღვანელო მწერლობაც, ქართულმა პედაგოგიკამ დაიწყო უკან ვრდომა.

ეს შავი ხვედრი არამც თუ პედაგოგიკას ხვდა, არამედ მთელ ქართულ მწერლობას. დაგეშილის ფანატიკოს მტრის ბრძოლის ქვეშ გაუქმდა ბევრი რამ ჭკუის სალარო ქართველთა. გაუქმდა ქართველთ ძველთ ვარსკვლავთ მრიცხველთ ფიფილოსოფიური წიგნები, გაუქმდა ქართველთა ექიმთა და ქართველთ დოსტაქართაგან შემუშავებული საექიმო წიგნები და მეცნიერებანი, საკმარისად იკლო ქართველთ ხუროთ მოძღვრების წიგნებმა, ქვეყნის მზომელობის, მხატვრობის და სხვანი, რომელსაც ოდესმე ჩვენი სიტყვიერების ისტორია გამო-

აჩენს. დაგეშილს მტერს მკაცრად სურდა საქართველოს ჩანთქმა, ქართველი ტომის ისე მოსპობა, რომ მისი აღარაფერი დარჩენილიყო: არც ენა, არც მწიგნობრობა, მაგრამ ხშირად ლამის ბრძოლაში თითონაც უძლურდებოდნენ, თვითაც შეუმცნევლათ ილეოდნენ. სხვათაგან დევნილნი ქართველნი უფრო ფხიზლათ ეკიდებოდნენ თავიანთ სულიერების განცხოვლუბას, მწიგნობრობის აღორძინების შრომას და დღე-და-ღამე მეცადინეობდნენ, რომ ქართულ ენაზდ ანთებულიყო მწერლობის დიადი ლამპარი, ქართველი დასდგომოდა სწავლა მეცნიერების გზას, მისთვის განათებულიყო განვითარების კერა

ქართველს ეწყო ელინებრ წინსვლა, წარმატება და დიდი ქადილი თავის მერმისის ცხოვრებისათვის.

ამ დიდების სამზადისის რჩევაში და წინ-სვლაში დაახლოვებით მონაწილეობას იღებდნენ ქართველთ ბრძენნი და ფილოსოფოსთ გვამნი, რომელთ ნატვრას და წადილს ყოველთვის მაღალი მიდრეკილება ჰფლობდა, დიდი მამულის შვილობა და ქართველური სიდიადე. დროის და შრომის მეოხებით ქართველთაც იწყეს მიბნედილი თვალების გახილება და სწავლა-განათლების ასპარეზზე გამოსვლა. დიდებულ გვამთა აღსარებამ ქართველებში იწყო ფესვის გამაგრება, ყოველს ქართველის გვამში იგი დიდს ადგილს ჰპოვებდა. განვლეს ბნელთ და შავთ საშუალ საუკუნოებთ დროებმა, აგერ დადგა მეჩვიდმეტე საუკუნის ნახევრის გასულიც, მისწყდა სპარსთა მრისხანების მსვლელობა, ქართველნი მიეცნენ დრტვინვას და ცხოვრებაზე დაფიქრებას, მათ მცირეთ გაახილეს თვალები, შეხედეს თავიანთ დაცემულ ცხოვრებას, მწარეთ იწყეს გოდება და შრომა ქართველთ დაწინაურებისათვის, ქართველთ განვითარებისათვის. იგინი ნათლად მიხვდნენ ქართველთ შვილების განსპეტაკების საჭიროებას, მათთვის მეცნიერების აღდგენას, ამის საშუალებით ყველა ფილოსოფიურ კითხვების გავრცელებას, სიტყვა კაზმულის მწერლობის ამაღლებას.

ქართველთ ასეთ ცდას მალე მოჰყვა მონასტრების განახლება, მათ გვერდით ძველი სამრევლო, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლების გაბრწყინება, სკოლებისათვის საჭირო იყო სახელმძღვანელო წიგნები, მალე ამის შრომასაც შეუდგნენ. მოკლე დროის განმავლობაში აღარ დარჩა რა წიგი, რომ ქართულს ენაზე არ ეთარგმნათ. ქართველთ მთარგმნელთ ხელახლა გააბრწყინეს ქართველთ მთარგმნელებთ

სკოლა, წიგნებს სთარგმნიდნენ ბერძნულ ენიდამ, სპარსული-
დამ, არაბულიდამ და მით ამრავლებდნენ ქართველთ შვილე-
ბის განვითარების ძალას. საქმე ისე წავიდა წინ, რომ 1707 წ.

თბილისში დაარსდა ქართული სტამბა და ამ სტამბაში დაი-
ბეჭდა „კოსმოგრაფიაც“ კი. სთარგმნეს გეოგრაფიული წიგ-
ნები, ქართველთ ახსნეს თვით მერდიანი და ეკვატორიც.
შეადგინეს ვრცელი რუკანი, სთარგმნეს მრავალი ფილოსო-
ური წიგნები, სთარგმნეს თვით კრებული ვარსკვლავთ მრი-
ცხველობისა, სთარგმნეს საოჯახო ეკონომიური წიგნები, პო-
ლიტიკური ისტორიები, გეომეტრია, ტაკტიკა, დიდი არიფ-
მეტიკა, მსოფლიო ისტორია, ფიზიკა, მეტაფიზიკა, სჯულის
დება სხვათა ტომთა, საექიმო მეცნიერული წიგნები, წამლის
კეთების წიგნები, ჯარა ექიმების, მცენარეთა ცხოვრება და
მათი აღწერანი, შეადგინეს ქართული ენის ძველი და ახალი
სიტყვების ლექსიკონები, ლექსიკონები ქართულის და სომ-
ხური ენის, რუსულის, სპარსულის ოსმალურის, ბერძნუ-
ლის და ლათინურის, სთარგმნეს ძველთ და ახალ ერთ მეც-
ნიერთა და ფილოსოფოსთა განსჯანი.

საქართველოში კვალად განახლდა თარგმნა არისტოტე-
ლისა, პლატონისა, სოკრატისა, დიონოსის, დემოსფენის, იპო-
დრომის სოფოქლის, კურციუსი, ტაციტის, ჰომიროსის,
ყველა ძველთა და ახალთ ხელოვანის მწერლების და
პოეტების, რომელსაც თვით ჩვენ დრომდის მოხწეულ ხელთ-
ნაწერი წიგნებიც ამტკიცებენ, საქმე ისე წავიდა და განათ-
და, რომ ქართველთ დიდებულმა და ბრწყინვალე შრომამ
უკანასკნელ წარმოშობა სახელოვანი სოლომონ ლეონიძე,
დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, პაატა ბატონიშვილი, ათანასე ბე-
რი, ანტონ კათალიკოზი და მრავალნიც სხვანი გამოჩენილ-
ნი ბრძენნი და მეცნიერ კაცები ქართველთა, ესენი ძენი
არიან ქართველის ერის ჭკუა-გონების ქართული სკოლების,
ქართულის სახელმძღვანელო წიგნების, ქართულის პედაგოგი-
კის. მათ წარმოშობეს მრავალნი ჩინებულნი გვამნი ქართველ-
თა. მეთვრამეტე საუკუნის ნახევარს ქართველებმა ნათლად
იგრძნეს სწავლა განათლების მნიშვნელობა, მის საჭიროება,
მწიგნობრობის აღდგენა, ხალხში წერა-კითხვის მოფენა. სამ-

ღვდელოების ზოგიერთ გვამნი წინააღმდეგ წავიდნენ ცრუ მო-

რწმუნეობის, მკითხაობის, ყოველი მღვდელმთავარი უბრძანებდა თავის სამწყსო მღვდელს, რომ ჩემს სამწყსოში მკითხავები არსად იყვნენო, ქადაგებით სდევნეთო. სამღვდელოებაც სდევნიდა. ასეთი ბრძანების მიწერილობა ჩვენ გვაქს ხელში დოსითეოზ ჩერქეზიშვილისაგან დაწერილი, რომელიც თავის ეპარქიის მღვდლებს აუწყებს, რომ მათ მკითხავები სდევნონ.

ასეთ წარმატებითი აღორძინებას მოჰყვა ის ბრწყინვალე ხანა, რომ 1750 წ. თბილისში ქართულ ენაზედ მეექვსედ დაიბეჭდა ქართული ანბანი ლოცვებით. საქართველოს სამღვდელო და თავადაზნაურის შვილებმა იწყეს დაბეჭდილის ანბანით ქართული წერა-კითხვის შესწავლა, ეს მაინც არ იყო პირველი მაგალითი, რომში ქართული ანბანი პირველად 1629 წ. დაიბეჭდა, მეორედ 1639 წ., მესამედ იქვე 1743 წ. მეოთხედ – 1778 წ. მეხუთედ დაიბეჭდა 1795 წ. ვისგან არ სჩანს. თბილისში დაიბეჭდა პირველად ქართული ანბანი 1710 წ. მეორედ დაიბეჭდა ლოცვებით 1713 წ. და მეექვსედ 1750 წ. საქართველოში კვალად დაიბეჭდა ხუცური ანბანი 1798 წ. ქართველთ მეფობის გამგეობის დროს უკანასკნელად დაიბეჭდა 1800 წ. რუსეთში ქართული ანბანი პირველად დაიბეჭდა მოსკოვში 1760 წ., მეორეთ 1773 წ. მესამედ – 1793 წ. კრემენჩუგს.

მეთვრამეტე საუკუნეში რომ ქართველთ შეიგნეს განვითარების მნიშვნელობა, ამას ცხადად ამტკიცებს ზემო აღნიშნულ ქართულ ანბანების ისე ხშირ-ხშირ ბეჭდვა. ანტონის დროს გაიხსნა ქართველთ სიბრძნის კარი, აღენთო განვითარების ლამპარი, სიბრძნის აღმომზეობაწ ბრწყინვით იწყო განკიდურება. იმ დროის ქართველთ ზედმიწევნით იწყეს ლოღიკის შესწავლა, პროკლეს კავშირის, კატეღორიის და ფილოსოფიის, საქმე ისე წავიდა, რომ გრამატიკას ზედმიწევნით სწავლობდნენ, გრამატიკის ზოგი ერთ ფორმებს ლექსავდნენ

და ბავშვებს ასწავლიდნენ, რომ გალექსილ გრამატიკით უფრო მიეზიდნათ ყმაწვილის ყურადღება. ლათინურის, ბერძნულის და ქართულის ენით ქართველთ ძენი ღალავდნენ თავიანთ გონებას, მთელს ქართველობაში ფეხი გაიდგა მეტაფიზიკამ, განყენებულმა მიმართულებამ თავისებური გავლენა იქონია, თუმცა დღეს ეს მოწონებული არ არის მრავალთაგან, მაგრამ ჩვენ მაინც აღვნიშნავთ მას, რადგან ხსენებულ მეცნიერებას თავისებური მნიშვნელობა არ მოაკლდება ჩვენს

მწერლობაში.

თბილისში და თელავში დაარსეს სემენარიებ ევროპიულის სკოლების წესრიგ მოწყობილებით, სადაც ქართველთ ძენი სწავლა-განათლებას იღებდნენ. ხსენებულ სასწავლებლებში მასწავლებლებად იყვნენ ანტონ კათალიკოზისაგან დადგენილი მოწაფენი, როგორც დავით რექტორი, გაიოზ ნაცვლიშვილი, ათანასე ბერი, დოსითეოზ ნეკრესის ეპისკოპოზი, კაცი საღმრთო ფილოსოფოსი, თავის დროის მხნე მქადაგებელი, მასთან მწერალიც. იმ დროის სამეცნიერო და საფილოსოფიო წიგნებს განცვიფრებაში მოჰყავთ თვით ჩვენი დროის განვითარებულნი ქართველნი. ქართველებს რომ სკოლები არ ქონოდათ და მასთანვე მწიგნობრობაც წინ წაწეული, უამისოთ სად გამოიზდებოდნენ ისეთი კაცები, როგორიც იმ დროის ჩვენი ბრძენი და მწიგნობარი კაცები არიან, რომელთაც მეთვრამეტე საუკუნის ქართველთ ისტორიაში საკმარისი ადგილი უკავიათ. ვამბობთ და ამას ჩვენი ისტორიაც ამტკიცებს, რომ ბრძენ ქართველნი იმიტომ იზდებოდნენ და სწავლობდნენ ყველა საგნებს მეცნიერულად, რადგანაც ქართველებს დაბალი სკოლებიც ჰქონდათ და უმაღლესიც, ამასთანავე გვყვანდნენ მასწავლებლებიც, მათში მეტად ბევრნი ბრძენნი და ხელოვანიც იყვნენ. ამას გარდა გვქონდა ყველა სამეცნიერო საგნების შესახები წიგნები, ფილოსოფიისა და ვინ იცის რამდენი რა სხვები. ყველა ამ ფილოსოფიურს და სამეცნიერო წიგნებს ქართველთ ძენი ეტრფოდნენ და ესურ-

ვებოდნენ დიდის ხალისით, იგინი თავს ღალავდნენ წიგნების ფურცლების კითხვისაგან, ყოველს ძნელს გასაგებს საგანთ მნიშვნელობას უსათუოთ შეიტყობდნენ. არც ერთი მოწაფე არ დასტოვებდა რამე ძველს წიგნს, ძველს ფილოსოფიურს და სამეცნიერო საგანს, კითხვის წინადადებას, რომ იმას ის ნათლად არ გაეგო და შეესწავლა. ესეთი მხნეობა და ლტოლვა იმ დროის ქართველთ მოწაფებისა დაბადა ქართულმა ენამ. ეს შექმნა ანტონ კათალიკოზის მეტაფიზიკამ, მისმა სხოლასტიკურმა სკოლამ. როგორც მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთის დიდებულ პირების განკაცებაში ერთობ დიდი დავალება დასდეს იეზუიტების კოლეგიებმა და სასწავლებლებმა, ასეთის მიმოხვრითვე დაიწყო საქართველოში აღორძინება და გავრცელება ანტონ ქათალიკოზის და მის ჟამის ქართველთ მეცნიერთ და ფილოსოფოსთ ცდამა. მათ შექმნეს და აღადგინეს მწიგნობრობა და ყოველივე ის, რაც კი XVIII

საუკ. საქართველოში აღორძინებულ და ცნობილ იქმნა.

იმ დროს, საქართველოში, სკოლების მართვის საქმე ძველებურად მიდიოდა, უფრო სპარსულად, ეს წესები საქართველოში საშუალ საუკუნის შემდეგ შემოვიდა, თორემ წინასაუკუნოებში ქართველთ სკოლების წეს-რიგი ელინებრ იყო მოთავსებული. სპარსულმა გავლენამ ქართველი მოწაფენი ორ-მუხლზედ დააჩოქა, სასწავლებლები ასე იყო მოწყობილი, სასწავლო ოთახში ორ მხარეს პატარა ტახტები იდგა, თითო ტახტზე თითო მასწავლებელი იჯდა და წინ საჭირო წიგნები ეწყო, საწერ-კალამი, ქაღალდი მარანდული, ოსმალური და რუსული. მოწაფეებისთვის დაწყობილი იყო პატარ-პატარა ნაალები, მოწაფები ორის მუხლით დაჩოქილები ისხდნენ და კითხულობდნენ გაკვეთილებს, იმ დროებში უმეტეს ნაწილს გაკვეთილებს ზეპირად ჰკითხავდნენ მასწავლებელნი მოსწავლეებს. წერის გაკვეთილებისათვის ჰქონდათ პატარა სამფეხა სკამები, ამას დაიწყობდნენ წინ და მაზე დაიწყებდნენ წერას, ზოგი მუხლზე სწერდა. წერა მუდამ დღე

იცოდნენ და სასტიკის ზომებით. ყველა სწავლა თითქმის კითხვა მიგებით თავდებოდა, დიდი ადგილი ეკავა სამღრთო რჯულს და ბერძნულ ენას, უკანასკნელ სპარსულს და არაბულ ენებს. მე ვიცი ერთი ცნობიდამ, რომ არაბულ ენის შესწავლაზე ქართველ ბავშვები დიდათ იტანჯებოდნენ. მარტო ანბანის სწავლებას სამ წელიწადს უნდებოდნენ, თბილისის სკოლაში ხუთს წელიწადს გრძელდებოდა თურმე არაბული, სპარსული და თათრული ენების და მწიგნობრობის შესწავლა. სამ-ოთხ წელიწადს ბავშვებს არაბულის და სპარსულის არაფერი გაეგებოდათ. ამათი განვითარება მხოლოდ მაშინ იწყობოდა, როცა იგინი სპარსთა მელექსეთა ლექსების თარგმნას ქართულს ენაზედ თავისუფლად იწყობდნენ. მასწავლებლად უმეტესად ბერძნულის ენისა ბერძნები ჰყავდათ, სპარსულის ანბანის და არაბულის ანბანისათვის განვითარებულნი ქართველთ მწიგნობრები, სპარსნი იშვიათად ყოფილან. ისევ და ისევ ქართველთ მწიგნობართ მეოხება იყო, რომ ქართველთ შვილები ისე ზედმიწევნით სწავლობდნენ სპარსულს ენასა და მწიგნობრობას, თუმცა დიდის ტანჯვით და წვალებით.

ქართველთ მოსწავლეთ სწავლის მხრით ტანჯვა-წვალების ხანა საუკუნოდ ჩაბარდა სამარეს 1770 წლებში. სასწავლებელთ შენობათა გარეგან და შინაგან გეგმა შეიცვალა,

შეიცვალა წიგნების ხმარებაც. სკოლებში დაწყობილ იქმნა სტოლები, სკამები, რუკები, ქაღალდი, მელანი საწერ-კალამი, სწავლება სულ სხვა წეს რიგით, უფრო ევროპიულად. უკვე დრო იყო ამის, საქართველოში მრავალ ალაგას იყვნენ ევროპაში ყოფილნი და ნასწავლნი ქართველნი. ამათ გარემოება ნებას აღარ მისცემდა, რომ თვალებ ახვეულებივით ემზირნათ ქართველთ სკოლების საქმისათვის, უნდა ითქვას, რომ საქართველოს სკოლებში ევროპიული წეს რიგი ქართველმა პატრებმა XVII საუკუნის დასაწყისიდგან შემოიტანეს. იმ დროს საქართველოს კათოლიკეთ მოძღვარნი რომში

იღებდნენ უმაღლეს სასულიერო სწავლას პაპის უმაღლეს კოლეგიაში, მერე საქართველოში მოდიოდნენ და თან მოჰქონდათ ევროპიული წესწყობილებანი და ჩვეულებანი. მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ მათი შემოტანილი წესები მათ სასწავლებლებში შთებოდნენ, ქართველნი ადვილათ ვერ ეთვისებოდნენ, მასში რაღაც დამარღვეველს მანქანებას ხედავდნენ. ერთის მხრით სჯულის ეშინოდათ. სამღვდელოებაც ვერაფერს თვალით უმზერდა. ასე მიდიოდა საქმე. უკანასკნელ კი ქართველთ შეიგნეს თავიანთი მოვალეობა. პატრების და ანტონ კათალიკოზის მეოხებით სხვაფერ იწყეს სკოლებში სწავლისმორთვა, არაბული ნუმერაციაც დაამტკიცეს მწერლობაში სახმარებლად.

ძველს დროში, ქართველთ მოწაფეთ სწავლის გამოცდა წელიწადში ერთხელ იცოდნენ, იანვრისთვის, ვინც კარგად სწავლობდა, იმას მურაბას და ხილს აჭმევდნენ. სწავლა მთელს წელიწადს გრძელდებოდა, მოზარდი ყმაწვილობა სოფლათ მიჰყავდათ, უფრო მონასტრის სასწავლებლებში, რომელნიც სამღვდელოთ ემზადებოდნენ, საერო საქმისათვის მოსამზადებელი ბავშვები კი თავ-თავიანთ ოჯახში შთებოდნენ. ძველის სკოლების წეს ჩვეულების რიგი და წესი ახალის დროის სკოლებს არაფერი შერჩათ. სულ შეიცვალა მოწაფეთა დასჯაც კი. ახალ წესწყობილებამ ქართველთ სასწავლებლებში დაბადა ყველა სამეცნიერო საგნებთა წიგნები. ყველა სახელმძღვანელო.ბი, პოლიტიკური ვითარება აქ რომ სხვაფერ წასულიყო, მაშინ სახელმძღვანელოები ერთი ოცად იმატებდა. არ დარჩებოდა რამე კითხვა სამეცნიერო, საფილოსოფიო და სხვა კითხვების, რომ ქართულს ენაზე არ აღორძინებუიყო, ამას ითხოვდა თვით თბილისის სკოლების რიცხვი და მათი წესწყობილება. თბილისში იყო შემდეგი დიდი სამრევლო სკოლები: კალოუბნისა, რომელ სასწავლებელიც 1830 წლე-

ბამდის დაშთა. 1789 წ. აქ სწავლობდა 400 ყმაწვილი, ქვა-
შუეთისა, ანჩისხატისა, აქ სწავლობდა 300 ყმაწვილი, ჯვარის
მამისა, აქ სწავლობდა 200 ყმაწვილი, მეტეხისა და სიონისა,

ამათ გარდა იყო მართლმადიდებელთ ქართველთ სემენარია,
კათოლიკეების სასწავლებელი ეკლესიის გვერდით, სადაც
60 ყმაწვილი სწავლობდა და რომლის გამგეთ პატრები იყვ-
ნენ. საექიმო სასწავლებელი, სხვათა მასწავლებელთ შო-
რის აქ იყო მასწავლებელი გერმანელი იოსებ გოტინგიც, მხა-
ტვრობის და სახელოსნო სასწავლებელი, სადაც სხვა-და-სხვა
სამეცნიერო და სახელოსნო საგნებს წიგნებით ასწავლიდნენ. მა-
ლე გაჩნდა ქართულ ენაზე სამხატრო ხელოვნობის სახელ-
მძღვანელოებიც, საათის გაკეთების, გაჩნდა მინერალოგიაც,
ბატანიკაც, ქიმიის ნაწილსაც შეეხნენ, სახელოსნო წიგნებიც
სთარგმნეს, საოჯახო ეკონომია, სახლების კეთების გეგმები
და ბევრიც სხვა ასეთი წიგნები. პედაგოგიურს და ტეხნიკურს
წიგნებს გარდა ხელოვნურს მწერლობასაც დაუახლოვდნენ,
გაიცნეს კარგათ ვოლტერის ნაწერები, ჟანჟაკ რუსოსი, მონ-
ტესკიეს წერილი „მათხოვრებზე“ ქართულად სთარგმნეს.

საქართველოს ბედი უღიმდებოდა, ქართველნი ხალხად
ქცევას ლამოდნენ, მეცნიერებისადმი დიდს მიდრეკილებას.
1782 წ. თელავის სემენარიის დაარსების საქმემ ხომ ცხადათ
ჰყო ქართველთ ლტოლვილება მეცნიერებისადმი. სასწავლე-
ბლისათვის შეკრებილ იქმნენ მოწაფენი, ეგზამენი, ანუ გამო-
ცდაც მოხდა, გამოცდაზედ დაესწრო ანტონ კათალიკოზი„
მეფე ერეკლე, დოსითეოზ ნეკრესელი, სკოლის კურთხევის
დროს მოწაფენი ანტონ კათალიკოზს ყვავილებს უფენდნენ
ფეხ ქვეშ, სემინარიის რექტორმა გაიოზ ნაცვლიშვილმა სი-
ტყვა წარმოსთქვა და, ნეკრესელს დოსითეოზ ჩერქეზიშვილს
ასე მიმართა: სკოლები საქართველოში ახალი საქმე არ არის, აქამ-
დისაც გვქონდა სკოლები და გვაქვს კიდევაც. ხოლო სკოლები
ჩვენს ძველს ქართულს წესწყობილებაზეხ დაფუძნებულნი. ამ სკო-
ლებიდან გამოვიდნენ მრავალნი ჩინებულნი ქართველნი და
აი ერთი თვით თქვენი უმაღლესობაც ქართველთა სკოლიდამ არის
გამოსული, რომელიც აქ ბრძანდებით და რომელიც თქვენის მაღა-
ლის ცოდნით, მეცნიერებით და მოქმედებით ანათებთ აწინდელ ქართ-

ველთ. სემენარია დაარსდა, სწავლა დააწყებინეს იმ წესრიგით,

როგორც ევროპის სემენარიებში არსებობდა, იმ დროებში სწავლა გრძელდებოდა 10 წელიწადს, ამ სემენარიის პირველი კურსი 1793 წ. გამოვიდა. რიგიან მოწაფენი წოდებულ იქმნენ სტუდენტებათ. მე თვით ვნახე ორი ძველი წიგნი სადაც მიწერილი იყო ბოლოში ასე: ეს წიგნი გადიწერა თელავის სემენარიის სტუდენტის ამა და ამისაგანაო. ამ სემენარიის საქმე დროებით წავიდა კარგად, რექტორი გამოეცვალათ, გაიოზ ნაცვლიშვილი რუსული ენის ცოდნის გამო რუსეთში გადაიყვანეს, ამის მაგიერ დავით მესხიევი დანიშნეს, შემდეგ დავით რექტორათ წოდებული. დავით რექტორის დროსაც შესაფერათ მიდიოდა სემენარიის საქმე, დავითი შესანიშნავი კალიგრაფი იყო, მასთანვე დაუღალავი გადამწერი. სემენარიის მოწაფენი გარს მოიკრიფა და იწყო მათში მეცადინეობა ქართულ წიგნების გადაწერაზე. იმდენი შესანიშნავი ძველი და ახალი ქართული წიგნები XIII საუკ. XVI საუკუნ. არ გადაწერილა, რაც XVIII საუკ. ბოლოს, დავით რექტორის გამგეობის დროს გადიწერა თელავის სემენარიის კედლებ შუა. ჩვენი მეფეების დროს მოწაფეების ცემა სულ არ იცოდნენ, შეუძლებელი იყო, რომ სადმე მოწაფისათვის ეცემათ, ან დაეჩოქებინათ, ამის ზოგი ერთი წესები დავით რექტორმა შემოიღო თელავის სემენარიაში ყოფნის დროს და უმეტეს ნაწილი კი შემდეგ დროებში, არ გაიგონებოდა, რომ იმ დროს, ქართულს სკოლებში მოსწავლე მასწავლებელს გაელახა, უპუროთ დაეტოვებინა, ან ყურები აეწია, ამას არც ერთი ქართველი არ მოითმენდა, რაკი ჩვენში ცემა არ იყო ჩვეულებათ შემოსული, ამიტომ ბავშვებიც დიდის სიბეჯითით სწავლობდნენ.

სასწავლებლები დასავლეთ საქართველოშიაც ძველადგანვე არსებობდენ: მაგალითებრ სამეგრელოში ჭყონდიდელებს ებარათ მეგრელთ სასულიერო სასწავლებლის ზედა-მხედველობა. სამეგრელოში გაზრდილნი და განსწავლულნი მღვდელ-

ნი და ბერნი იგზავნებოდენ სვანეთში და ასეთ მიუვალს ადგილებში. ერთს ვრცელს სასულიერო სასწავლებელს გარდა სამეგრელოს სამრევლო სასწავლებელებიც მრავლად ჰქონდა, სამრევლო სასწავლებლის მასწავლებლებად მღვდლები იყვნენ და სასულიერო სემენარიის ბერები. სემენარია ჭყონდიდლის გვერდით არსებობდა. სემენარიაში ასწავლიდენ ქართულს ძველსა და ახალს ენებს და მწიგნობრობას, ისტორიას, ფილოსოფიას და ენებთ შორის ბერძულ და ლათინურ ენასაც.

ბერძულს უფრო საფუძვლიანათ, საერო სასწავლებლში ქალებიც დაიარებოდენ, ხოლო ქალები ცალკე იყვნენ და მათ ქალებივე ასწავლიდენ, უფროს გამგე მასწავლებლად მღვდლის ცოლი ითვლებოდა. ქალებს ასწავლიდენ წერა-კითხვას, სამღრთო ისტორიას, საქართველოს ისტორიას და ხელ-საქმეს, ქსოვას, რთას და სხვა. სამეგრელოს სასწავლებლებს და ნამეტურ სასულიერო სასწავლებელს და მის სასულიერო გამგეობას მეტად დიდი ტვირთი დააწვა მას შემდეგ, რაც ოსმალთაგან აფხაზები დამორჩილებულ და გათათრებულ იქმნენ, სადაც ოსმალთაგან გაუქმდა საკათალიკოზო ტახტი, სასწავლებლები და ეკკლესიები. უკანასკნელ აფხაზეთში საიდუმლოთ შთენილ ქრისტიანებსაც მეგრელნი ჰპატრონობდენ, ესენი ავრცელებდენ იქ ქრისტიანობას და ქართულ ენას.

სამეგრელოს სასულიერო სემინარიას მრავალი გამოჩენილი გვამნი გამოუზრდია, რომელთაც უკანასკნელ უმაღლეს წერტილამდისაც მიუღწევიათ. ერთი ასეთთაგანია ნიკოლოზ არქიმანდრიტი, ანუ შარდენისაგენ ირბახათ წოდებული. ნიკოლოზ ირბახი მთელს სამეგრელო,ში გამოჩენილი იყო, ნასწავლი, შესანიშნავი დიპლომატი, მცოდნე თავის დროის კვალად ყველა მეცნიერების, მცოდნე ყველა აზიური ენების, ამას გარდა მან იცოდა ევროპიული ენები: ფრანგული, იტალიური, ლათინური, ბერძნული, ისპანიური, ინგლისური ოსმალური, არაბული და თათრული. ევროპის სახელმწიფოებშიაც რამდენ გზისმე იმგზავრა, ხანდისხან მეფეების და სა-

მეგრელოს მთავრებისაგანაც იყო გაგზავნილი დესპანათ, სადაც იგი დიდს ცოდნას და შნოსაც იჩენდა ევროპის სახელმწიფო პირებთ წინაშე. იგი რომის სამღვდელოებისაგან დიდათ პატივცემულ იქმნა, უკანასკნელ იგი შეუკავშირდა რომს, მიიღო ლათინობა. ამის მეთაურობით და ქადაგებათ დაარსდა რომში 1629 წ. ქართული სტამბა, ამანვე მიიღო დიდი შრომა იმ დროის საჭირო წიგნების შედგენაში, რომელიც მაშინათვე დასტამბულ იქმნენ. ამ პირს ბევრიც სხვა შესანიშნავი საქმეები გაუკეთებია, ასეთივე გამოჩენილნი პირები სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლიდამ არა ერთი გამოსულა. სამეგრელო ძველად ბრწყინავდა სასწავლებლებით და მასში გაზრდილ სასულიერო და საეროს პირებით.

ასევე ითქმის გურიაზედ, დასავლეთ საქართველოს ოსმალთაგან დაპყრობის და გათათრების შემდეგ სწავლის საქმე გურიაში გადმოიტანეს, გურიაში ორი სასულიერო სასწავ-

ლებელი არსებობდა, ერთი ჯუმათელს ებარა და მეორე შე-
მოქმედელს. ეს ორი სასწავლებელი სემენარიებათ ითვლებო-
დენ, აქედამ ეზდებოდენ გურიას სასურიერო პირები. სწავ-
ლა აქაც ისევე იყო როგორც სამეგრელოში, აქ ნამეტურ
კარგად გალობასაც ასწავლიდენ. სემენარიის მოწაფეთა გამო-
ცდა სამეგრელოს და გურიაშიაც წელიწადში ერთხელ იცო-
დნენ, სემენარიის მოწაფენი ზაფხულობით მონასტრების გვე-
რდით სცხოვრებდენ და ზამთარს მონასტრის მახლობელ სო-
ფლებში, ვინც ახლომახლო სოფლებიდან იყვნენ ისინი თა-
ვიანთსას სწავლობდენ, თვეში ერთხელ მღვდელ-მთავრებს ეჩ-
ვენებოდენ და გაკვეთილებს აძლევდენ. მხოლოდ რიგიანად
მომზადების შემდეგ მიაღწევდენ მღვდლობას. სწავლა ორსავე
სამთავროს სასწავლებლებში 10 წელს გრძელდებოდა, გური-
აში საერო და სამრევლო სკოლებიც მრავლად იყო მოფენილი,
თითქმის ყოველ ეკკლესიის გვერდით მღვდელი ვაჟებს ასწა-
ვლიდა და მის მეუღლე ქალებს. ქალებს ხელ საქნარს, ქსო-
ვას და რთვასაც კარგათ ასწავლიდენ, როგორც სამეგრელოს

სასულიერო წოდება იღვწოდა გათათრებულ აფხაზთათვის,
ისევე გურულები მეცადინეობდნენ აჭარელთათვის. გურია
მფარველობდა აჭარის ქართველ ქრისტიანობას, იქ თუ რამ
არსებობდა ეს სულ გურულების მეოხებით იყო. გურულ
სამღვდელო პირებს საბერძნეთშიაც ხშირი მისვლა-მოსვლა
ჰქონდათ და ამათი შვილები ტრაპიზონის სასულიერო სემე-
ნარიაშიაც სწავლობდენ. XVIII საუკ. დამდეგიდამ-კი ორსა-
ვე სამთავროებში სკოლებმაც იკლო და ნასწავლ მღვდელ-
მთავარნი, მღვდელნი, ბერნი და ერის კაცნიც შემცირდენ,
ამას მიზეზი ოსმალთა ძლიერი გავლენა და შინაური და გა-
რეული ბრძოლანი იყო. სწავლის და სკოლების დრო აღარ
ჰქონდათ ქართველებს.

რაც ჩვენ ვსთქვით ქართლის სასწავლებლებზედ, იგივე
ითქმის სამცხე-საათაბაგოს სწავლა განათლებაზედ და იმერეთ-
ზედ. სამცხეში ოსმალოს მოსვლის მეოხებით ძველადვე დაე-
ცა სწავლის საქმე, იმერეთში-კი ეს კარგა ხანს დაშთა. იმერთ
შორის გამოჩენილი იყო გენათის სასულიერო სემენარია, რო-
მელსაც ქუთათელი და გენათელი განაგებდენ. ამ ვრცელ
სასწავლებელს გარდა სხვა სასულიერო და საერო სასწავლე-
ბლებიც მრავლად იყო დახსნილი. აქ ასწავლიდნენ ყველა
ძველსა და ახალ ენებს, ისტორიებს, მეცნიერებას და ფილო-
სოფიას. გენათის სემენარია თუ რაოდენათ იყო ამაღლებუ-

ლი და იქ სწავლა განათლების საქმე როგორ ბრწყინავდა, ეს იქიდამაც სჩანს, რომ თვით გამოჩენილი ანტონ საქართველოს ქათალიკოზიც-კი გენათში იყო გაგზავნილი და იქ გამოიწურთნა, იქ განათლდა და გაბრწყინდა. ჩვენ რომ ბევირ ცნობებიც არ მოვიყვანოთ, ვგონებთ ეს ერთი მაგალითიც კმარა გენათის სემენარიის მნიშვნელობის არ მოსაკლებად. ჩვენს საუბარს შემდეგი ძველი თქმულებაც ხომ კარგათ ასაუთებს: – „ზრდლნი არიან იმერნი, მტერთა მიმცემი რისხვისა“. რით იქმნებოდნენ ზრდილნი, თუ მათ ზრდილობის აღსაზრდელნი-კი არ აქვნდათ, ქონვით-კი აქვნდათ ყველაფერი, მა-

გრამ ჩვენდა საუბედუროდ თანამედროვე აღმწერთა მასზედ არა დაგვიტოვეს რა.

მე გავიცანი XIX საუკუნის პირველ დროის ქართული სახელმძღვანელოები და უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა იგინი დავინახე თავის დროის კვალად მეტად უსარგებლოდ, კაცი გულ ცეცხლით ივსება, როცა აკვირდება ჩვენს სახელოვანს წარსულს დროს, იმ დროს, როცა ჩვენი სახელოვანი ბარათაშვილები სცხოვრობდნენ, ორბელიანები, ჭავჭავაძეები, ერისთავები და მათი წოდების ძენი სიამოვნებით შეექცეოდნენ ქართველთ ნაყოფს, ქართველთ გლეხთა წიაღს, ეს ხსენებულნი პოეტები მშვენიერ ლექსებს სწერდნენ და აქა-იქ ქეიფებზე ამ ლექსებს კითხულობდნენ, ლექსების კითხვით უზრუნველ ჭამია ქართველები დიდს ახტაცებაში მოჰყვანდათ, მათი ქეიფები და ლხინები ყოველთვის ოქრო-ვერცხლით იფინებოდა და ლაპლაპებდა, საქართველოს სადღეგრძელოებსაც მიირთმევდნენ: „შესვი გამოსთო“ და იმავ დროს კი მათ ქართულს ენაზე ერთი რიგიანი ანბანიც არ დაბეჭდეს, ერთი პატარა სახალხო საკითხავი წიგნი. ჩვენს მგოსნებს და მწერლებს რომ იმ დროის ქართველთ ასეთ მთავარ ნაკლულევანებისთვინ ყურადღება მიექციათ, მათ რომ დროის შესაფერი წიგნები ებეჭდათ, დღეს ჩვენი ხალხის საქმე განათლებით ერთი ათად წინ იქნებოდა წასული, დღეს ქართველთ ხალხში სახალხოდ წერა-კითხვა საკმარისად იქმნებოდა აღორძინებული, მაგრამ იგინი არ გრძნობდნენ ამის საჭიროებას.

მე არ ვსაჭიროებ აქ დაწვრილებით გავყვე იმის აღწერას, თუ ჩვენს ყვავილოვან ქეიფების დროს რა გვარი ანბანები იბეჭდებოდა, ვისაც სურს რომ გაიცნას ყველა ესენი, იმას ვთხოვთ უცბათ მაინც გადაავლოს ჩვენის მწერლობის ისტორიას თვალი და იმ ანბანებს, რაც მაშინ დაბეჭდილა და

ის ამაზე ცხადათ დარწმუნდება. სამაგალითოდ მე დავასახე-
ლებ თუნდა ერთ ანბანის წიგნს, რომელიც დაუბეჭდია პლ.
იოსელიანს 1841 წ. და რომელ ანბანიც თავის დროის კვა-

ლად საუკეთესო ანბანით ჩაითვალა ქართულ ენაზე. ეს ანბა-
ნი დაბეჭდილია პატარა ზომის, შავს ქაღალდზე, ძველებუ-
რის ქართულის ენით, ანბანის და ლოცვებს გარდა აქ სხვა
არაფერი მოიპოვება. ეს ანბანი ისეთ გეგმის სულით და ხო-
რცით არის დაბეჭდილი, რომ თუ არ დიდათ გაჭირვებული,
უამისოთ ხელში არავინ აიღებს საკითხავად, რადგანაც ამ ან-
ბანით ყმაწვილს ქართული ანბანის სწავლა დიდათ შესძულ-
დება. ამ წიგნით ქართული ანბანის სწავლება ყმაწვილებთა
განწვალებათ უნდა ჩაითვალოს. თუმცა ასე იყო, მაგრამ ეს
ანბანი პ. იოსელიანმა 1841-1857 წლებში ექვსჯერ დაბეჭ-
და და მას კაი ბაზარიც ჰქონდა, მაგრამ როგორც მკვდარი
წიგნი, მასთანვე მკვდარის ენით შედგენილი, იგი საყოველ-
თაოდ მკვდრათ შთებოდა. პლ. იოსელიანის გარდა ხანდის-
ხან ჩვენი სასულიერო მოძღვარ მამებიც ბეჭდავდნენ რაღაცა
პატარა ანბანებს და ლექსებს, მაგრამ საუბედუროდ, ვერც
ეს სულის მამები იქცეოდნენ ოსტატურათ, იგინიც მკვდა-
რის ენით ადგენდნენ ყველა იმ წიგნებს, ყრუს ანბებით, ლო-
ცვებით, ტლანქის პედაგოგიურის სისტემით, რაც ბავშვებში
სარგებლობის მაგიერ ვნება და ზიზღს უფრო ჰფენდა და სთე-
სავდა. მოახლოვდა 1855 წლები და მალე ივ. კერესელიძემაც
გამოსცა ქართული ანბანი, რომელსაც „ყრმათა საკითხავი“ წი-
გნი ეწოდებოდა, მაგრამ საუბედუროთ ვერც ეს წიგნი აღ-
მოჩნდა დროის შესაფერად და საჭიროდ შედგენილი. ვერც ამ
წიგნმა გასტანა დიდხანს, ამ წიგნის სიცოცხლეც მოკლე
დროის აღმოჩნდა

უნდა ვსთქვათ, რომ ივანე კერესელიძისაგან გამოცემული
ანბანი კი სჯობდა პლ. იოსელიანის ანბანს. მაგრამ ერთიცა
და მეორეც ქართველთ ცხოვრებაში უმნიშვნელოთ დარჩა,
მას შემდეგ გამოიცა ს. მდივანოვის ანბანები, მაგრამ ვერც
ეს ანბანი აღმოჩნდა დროის შესაფერისად შედგენილი და მო-
ხერხებული, ვერაფრით გაუსწრო თავის წინა მოადგილეებ-
თა მკვდარს მიმართულებას და აზრებს, ანბანში არ აღმოჩნ-

და ბავშვების არც ერთი წამხალისებელი მოთხრობა, სახალხო

ლექსი, ზღაპარი, ან სხვა რამ, ანბანის შემდეგ წიგნი სავსეა ძველისა და ახალის აღთქმის ცნობებით და ისიც ყველა საყმაწვილო მიმზიდველს ოსტატობას და უნარს მოკლებული. ამავე დროს მოჰყვა დ. ფურცელაძის ანბანი, ეს ანბანი ძველის ქართულის ანბანებისაგან მხოლოთ იმით განირჩეოდა, რომ იმაში მოთავსებულია ზღაპრები, ბაიათები, ზოგი ერთი ადგილები საქართველოს ისტორიიდამ და სხვა ცნობები, მაგრამ ვერც ეს წიგნი აღმოჩნდა პედაგოგიურად შედგენილი, იგი იყო ულაზათო და ბავშვების არ წამხალისებელი. ასეთ მდგომარეობაში იყო მოთავსებული სწავლის საქმე, დაბალ წოდების შვილებისათვის ხომ სიტყვა არ ითქმის, ესენი დამდაბლებულნი იყვნენ ისე, რომ მთელი საქართველო დაგეარნათ, ერთს გლეხის კაცის ოჯახს ვერ ნახავდით, რომ მის წევრთ ქართული კითხვა, ან წერა რიგიანად სცოდნოდათ, გელეხებისთვის წიგნის კითხვა არც კი არსებობდა, ქართველებში ყველა იმ აზრის იყვნენ, რომ გლეხკაცის შვილებისათვის წიგნის ცოდნა და კითხვა რა საჭიროაო, წიგნი დიაკვანმა, მღვდელმა, თავადმა და აზნაურმა უნდა იცოდესო. საუბედუროდ ეს მრავალთ შორის დღესაც ისევ ისეა და ბეერნი ამ უკუღმართს აზრებს ხმა მაღლა ავრცელებენ ქართველებში.

უწიგნობის მიზეზი საკმარისია ქართველთ შორის. 1864 წ. თფილისში, გამოიცა „ქართული ანბანი“ შედგენილი პ. უმიკაშვილის მიერ. ეს ანბანი თავისზედ წინად ყოფილ ანბანებს ბევრად სჯობდა. ამ წიგნმა თავის შესაფერად სარგებლობაც მოიტანა, ხალხმა სიამოვნებით მიიღო, მალეც გასაღდა. გამომცემელმა შემდგე ეს ანბანი უკეთესად გადააკეთა და მესამედ 1866 წ. გამოსცა. წიგნი შაურად იყიდებოდა. ხალხში მალე გაარკვია გზა და კვალი. შემდეგ ეს ანბანი აღარ გამოიცა, რადგანაც მასზედ უკეთესად შედგენილი და

დაბეჭდილი იაკ. გოგებაშვილის ანბანი აღმოსჩნდა. გამომცემელმა უპირატესობა ამას მიანიჭა. პ. უმიკაშვილის წიგნის შემდეგ, 1873 წ. თფილისში, დაიბეჭდა „ანბანის საკითხავი წიგნი“ ახლად შედგენილი რაფი. ისარლოვისაგან, სურათებით აღბეჭდილი, ეს წიგნაკიც დროის შესაფერად აღმოსჩნდა, რადგანაც იგი სურათებით იყო ნაბეჭდი, ამ წიგნის გამომცემელმა რამდენიმე ათასი დაბეჭდა, იგი ერთობ მალე გასაღდა, შემდეგ კი აღარ გამოსცა, რადგანაც 1875 წ. „დედა-ენა“ დაიბეჭდა და ეს წიგნი ხსენებულს წიგნებზედ

ბევრად უფრო პედაგოგიურად შედგენილი აღმოჩნდა. რაფ. ისარლოვის შემდეგ ა. ჯუღელმა და სხვებმაც ბეჭდეს ქართული ანბანები და ქუთაისშიაც გამოსცეს, მაგრამ ვერც-ერთმა იაკ. გოგებაშვილის ანბანს და „დედა-ენის“ ოდნობა ვერ გაუწევს ხალხს, შემდეგ ეს წიგნები აღარ დაბეჭდილან.

დიდს უძლურს მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი ქართველი ერის სასწავლო წიგნების საქმე, ერთი რიგიანი სახელმძღვანელო არა გვქონდა, ერთი სახალხო საკითხავი წიგნი, ერთი ისეთი თხზულება, რომ მით შეგვძლებოდა ერის გულის მიზიდვა მწიგნობრობისაკენ და მათში მცირედ მაინც აღორძინება მწიგნობრობის სიყვარულის. ჩვენს მამებზე ვერაფერმა გავლენამ ვერ იმოქმედა, ვერაფერმა გარემოებამ და დავრდომილებამ ვერ აუხილა მათ თვალები, იგინი ისე გაბედრანგებულ იყვნენ, რომ თვის გვერდით მდგომ სომხებსაც კი ვერ მზერდნენ და მათაც კი ვერ ჰბაძავდნენ. ჩვენმა ძველმა თაობამ დიდის სიმკვდრით განვლო ამ მხრით თვისი არსებობა.

მათ არ დაგვიბეჭდეს ერთი რიგიანი ანბანი, მასთან იაფ ფასად. არ დაგვიბეჭდეს მდაბიურად შედგენილი საქართველოს ისტორია, არ დაგვიბეჭდეს რიგიანი რუსულ-ქართული სასწავლებელი წიგნი. არ დაგვიბეჭდეს ახალის ქართულის ენით შედგენილი ქართული რიგიანი გრამატიკა, არ დაგვიბეჭდეს არც ერთი პატარა რამ საჭირო საკითხავი წიგნი. არ დაგვიბეჭდეს ექიმობის წიგნი, არითმეტიკა, გეოგრაფია, საზოგა-

დო ისტორია, არ დაგვიბეჭდეს სახარება, საეროს ენით შედგენილი ქართველთ წმიდათა ცხოვრებ, არ დაგვიბეჭდეს იაფ ფასად „ვეფხვის ტყაოსანი“, ეს ძვირფასი საუნჯე ქართველთა, „დავითიანი“ და სხვები. 1860 წლებამდის, თფილისში ქართული წიგნები სამთლით უნდა ეძებნათ. „ვეფხვის ტყაოსანი“ სამ მ. იყიდებოდა და სხვა წიგნებიც ასევე, მაშინ სულ ხუთნაირი წიგნი ჩამოითვლებოდა, რასაც ქართველი იშოვიდა საყიდლათ.

ესეთს მდგომარეობაში იყო მოთავსებული ჩვენი ერის ვითარება, ასე იყო ერი დანატრულებული პატარა წიგნებს, ისეთ წიგნაკებს, რომელ წიგნის 1000 ცალის გამოცემა 40 მ. მეტი არ დაჯდებოდა იმ დროს როცა ჩვენი გამოჩენილი გვარის შვილები ათას თუმნობით ფლანგავდნენ, როცა გლეხთა ღვაწლზე უხვათ ნავარდობდნენ. როცა მათ შვილებსაც ოსმალ-სპარსებზე ცხვრებივით ჰყიდდნენ, როცა მათგან დაყიდულს გლეხებს სომხები და თათრები მარჯვნივ და მარცხნივ

მიერეკებოდნენ. სომეხთაგან ქართველ გლეხების სყიდვას თვით რაფიც მოგვითხრობს „დავით ბუქში“.

ასეთ ქვეყნის ძეთა კრებულს ეკუთვნის იაკობ გოგებაშვილი, რომლის წინა დროება და ვითარება მცირეთ მაინც გავიცანით, ყველა ჩვენს საზოგადო მოღვაწეებს ჰყავთ თავიანთ წინა მოადგილენი, თავიანთ ძველნი მამანი, მელექსეებს ჰყვანდათ თავიანთი წარმომადგენნი მამანი, ასევე მოთხრობის მწერლებს და მეისტორიეებსაც, მაგრამ პედაგოგიურ მწერლობას კი ჩვენში წარმომადგენი არ ჰყოლია. ამის დასაწყისი ჩვენში იაკობ გოგებაშვილის ნაბიჯით იწყება, რომელიც თავის სამწიგნობრო შრომით და გამჭრიახობით იმ დროის უხეირო მდგომარეობას წინ აღუდგა, ხელში სამთელი დაიკავა, ქართველ შვილებს წინ გაუძღვა და უთხრა:

აბა, ქართველთ ძენო, მომდიეთ, მე გაგიძღვებით ამა და ამ გზით, გაგიყვანთ ფონს, ბნელს ღამეს და დაგაყენებთ ნათელს გზაზედ.

ქართველთ ერთმახ ნაწილმა სიამოვნებით მიიღო იაკობ გოგებაშვილის რჩევა, მათ სიხარულით მიიღეს ჩინებულ მოძღვრის სატრფო სიტყვა.

გამოჩენილ მოძღვრისათვის საქართველოში მოქმედების დასაწყისი სულ უბრალო საქმის კეთებით უნდა დაწყობილიყო, თითქმის ანბანის ბეჭდვით, რადგანაც დიდებულ წოდების მექონ ქართველებს ერთი უბრალო ანბანიც არა ჰქონდათ, ერთი უბრალო რამ საკითხავი წიგნი.

აი, ასეთ დროს მოევლინა ქართველს ერს იაკობ გოგებაშვილი, ასეთ მდგომარეობაში მყოფ ერს დახვდა იგი გაკამათებული, ამ არსებულს უწესოებას იგი მკაცრათ აღუდგა წინ, მან დასძლია ყოველნარი უსწორ-მასწორო მდგომარეობა და იმ დროის პატარა საზოგადოებას ამცნია თავის მოვალეობა, სახალხო ანუ საერო განათლების მნიშვნელობა, გლეხებში წერა-კითხვის გავრცელება, მათი განკაცება და ფეხზე დაყენება, რაც შემდეგში ქართველ გვარის გასაძალუანებელ საღსრად გახდებოდა, ამით იაკობ გოგებაშვილმა მალე მოიპოვა თანამგრძნობელნი. ამის რჩევას ქართველთ სიამოვნებით შეხედეს, ნამეტურ სემინარიიდგან გამოსულ ნასწავლ ქართველებმა. იაკობ გოგებაშვილმა მალე მოჰკიდა ქართულ სახელმძღვანელო წიგნების ბეჭდვის საქმეს ხელი, პირველად მან დაბეჭდა რიგიანი ქართული ანბანი.

ანბანის დაბეჭვდა ამისაგან მაინცა-და-მაინც არ იყო ახა-

ლი საქმე და ხამი, მაგრამ იგი ვისთვის რათ იყო საჭირო, რო-
ცა ქართველთ კეთილშობილთ წევრნი ქართულს ანბანს არ
სწავლობდნენ, ისინი ქართულს ენას „გლეხების ყანას“ უწო-
დებდნენ და გლეხკაცობაც ისე იყო დაცემული და დაქვეი-
თებული, რომ მათ ანბანის ცოდნა-კი არა და ქალაქ ადგი-
ლებში მცხოვრებთ მუდამ დღე მის დარდი აწვათ დულზე,
რომ ბატონი ან დღეს აგვყრის ჩვენის სახლიდამ, ან ხვალ
და გაგვრეკამს სადმეო. ამას უნდა უშველოთ, რომ უბინაოთ
არ დავშთეთო. ამიტომ ესენი წიგნის ცოდნის საქმისაგან

შორს დგებოდნენ და პირდაპირ თავიანთ საცხოვრებელ საქმე-
ების გამაგრებას მისდევდნენ, ესენი არც იყვნენ შემცდარნი,
მთელი თბილისის ადგილები ქართველ გლეხ-კაცებით იყო სავ-
სე, ყველას თავ-თავის ქოხი ჰქონდა, ყველა თავის ჭერ-ქვეშ
ცხოვრობდა, მაგრამ მათი ასეთი ცხოვრება არ გახლდათ სა-
მუდამო, რადგანაც ესენი ესახლნენ მებატონეთა ადგილებზე,
მებატონეებმა ჯერეთ თავიანთ სახლ-კარი დაყიდეს მუქთად და
გაფლანგეს, მერე გლეხებს დაუწყეს სახლ-კარის წართმევა,
წანართმევს შორიდგან მოსულ პირებზედ ჰყიდნენ, გლეხებს
ცარიელს სტოვებდნენ, ამათთვის ბინა აღარ იყო, ისენი ქა-
ლაქ გარეთ თხრილებში სცხოვრებდნენ. გალოთებულ და ცხოვ-
რება შეჭმულ თავად-აზნაურობის უმეტესი ნაწილი-კი სოფ-
ლებში მირბოდნენ საცხოვრებლად, რადგანაც ქალაქ ადგილას
მათ აღარაფერი გააჩნდათ. ამათი საქმე ისე წავიდა, რომ დღეს
ოდესმე მათით სავსე თბილისი, ცარიელია, აქ მათი სულ 200
სახლი აღარ იქნება, ეს ჭეშმარიტება არის. ასეთ მდგომარე-
ობაში იყო მოთავსებული ქართველ-გლეხკაცის შვილების
წინ სვლის საქმე. მაშინ რომ ამათ პატრონი ჰყოლოდა,
დღეს ამათით იქმნებოდა თფილისი სავსე და მათში აღებ-
მიცემაც წინ იქმნებოდა წასული, ესენი ბევრ რამეში წა-
დგავდენ ფეხს წინ, ბევრს საქმის ასპარეზზედ გაიმაგრებდნენ
ფეხს. დღეს ყველა ხელობის და ვაჭრობის ქართველნი მრავ-
ლად იქმნებოდენ, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ეს ასე არ
მოხდა, თფილისის ქართველ გლეხებმა 1820 წლებიდამ სო-
ფლებში იწყეს გარდახვეწა და მათ მაგიერ სხვებმა იწყეს გა-
მრავლება და წინ სვლა. როცა იაკობ გოგებაშვილმა სახალ-
ხოდ ქართული ანბანის ბეჭვდა დაიწყო., მაშინდელ უზრუნველ
ქართველნი იტყოდნენ ხოლმე:

ნეტა რა ოხრათ უნდა, რომ ქართულს ანბანსა ბეჭდავ-
სო? ნეტა ვინ რა თავში იხლის ქართულს ანბანსაო, რა საჭი-

როა, ბატონებო ქართული ანბანი! არ ქმნილიყო და არ გა-
გონილიყო საქართველოში, რომ ქართულს ენაზე ანბანის წი-

გნი დაბეჭდილიყო და ის ანბანის ვრცელი წიგნიც შაურათ
ღირებულიყო. ეს მოუვლენელი მოვლენა საქართველოში,
უმაგალითო მაგალითი იყო, გლეხნი და მდაბიონი გაოცდნენ
ამაზე!

გლეხთა შვილთ გაოცება არც იყო საკვირველი, რადგა-
ნაც ამათთვის არ ქმნილიყო და არსად გაგონილიყო, რომ
ვისმე ქრთული სასწავლებელი წიგნი დაებეჭდა და ისიც ისე
იაფად, როგორც ბ. იაკ. გოგებაშვილმა შეადგინა და დაბეჭ-
და. დაბეჭდილ ანბანს თან მოჰყვა ის სასიკეთო მხარეც, რომ
მის დროს იწყეს ქართულ ანბანების საქართველოს ქალაქებში
და დაბებში გაგზავნ-გამოგზავნა და ხალხში გავრცელება. დაბა
და ქალაქებში-კი არა და წინა დროებში ქართული ანბანის
ხსენება თვით დიდ ქალაქ თბილისსა და ქუთაისშიაც-კი იშვია-
თი საქმე იყო, ბატარა ქალაქების შესახებ ხომ სიტყვა არ ით-
ქმის, იქ კაცს ერთი წელიწადი უნდა ევლო, რომ ერთს ქა-
რთულს ანბანს ვერ იპოვიდა, 1870 წლებში, თბილისში, რო-
ცა იაკობ გოგებაშვილის ანბანი უხვათ იბეჭდებოდა, მაშინაც
კი რომ გევლოთ, ადვილათ ვერ იპოვნიდით ქართულ ანბანს.
1873 წ. მე კახეთში ვიყავი, მთელი კახეთის დაბები დავიარე დ
ვერსად ერთი ქართული ანბანის წიგნი ვერ ვპოვე. სხვა რამ
საკითხავი წიგნების ხომ ჭაჭანება არ იყო. ასეთი მდგომარე-
ობა იყო ჩვენში ამ ოცდა ათის წლის წინეთ.

ქართველები ადრე არ იყვნენ შეჩვეულნი წიგნების ბეჭ-
დვას. მართალია მაშინ „ცისკარი“ და „გუთნის დედა“ იბეჭ-
დებოდა, შემდეგ გაზეთი „დროება“ და „მნათობიც“ მიემატა,
მაგრამ ეს ჟურნალები გამოდიოდა ისეთ საზოგადოების ნაწი-
ლისთვის, რომელთაც დედა-ენა არც-კი ჰქონდათ შესწავლი-
ლი, იგინი სხვა-და-სხვა დიდ სასწავლებლებში იყვნენ გა-
ზრდილნი და ქართული ანბანი ძველებურის ხელთნაწერის
ანბანებით ჰქონდათ გაცნობილი, ანუ ძველის ქართულის ზღა-
პრებიდამ და ლექსებიდამ. ივ. კერესელიძეს „ცისკართან“
ბატარა ხეირიანი სახელმძღვანელო სახალხო წიგნებიც რომ

ებეჭდა, მაშინ ჩვენი ხალხის განვითარების საქმე დღეს ერთი
ათად იქნებოდა წინ წაწეული, იაკობ გოგებაშვილსაც საკმა-

რისათ შემზადებული ნიადაგი დახვდებოდა იმ დროს, როცა ამან სახელმძღვანელო წიგნების ბეჭდვა დაიწყო, ამას იქნება მაშინ უბრალო ანბანების შედგენაზე, ბეჭდვაზე და უკან დევ-ნაზე არ მოსდომნოდა თავის ბრწყინვალე დროისა და შრომის დაკარგვა, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ ეს ასე არ იყო, იმ დროის უზრუნველ ქართველნი მთელს ერის საქმეს განზე უხ-ტებოდნენ და ერთს უბრალო სახალხო საჭირო ანბანსაც-კი არ ბეჭდავდნენ. მარტოდ მარტო. „ცისკარი“ იბეჭდებოდა 200 ხელის მომწერლისათვის და ამათშიაც ასი არ კითხუ-ლობდა ქართულს ენაზედ, „ცისკრის“ ნომრები დაუჭრე-ლები რჩებოდათ. ჩვენ არ ვიტყვით, რომ ჟურნალის მაგიერ რატომ სახალხო წიგნებს არა ბეჭდავდნენ, არა, საქმე ასე არ არის, განა არ შეიძლებოდა, რომ ჩვენთა შესმენილ მამულის შვილებს და სხვებს „ცისკრის“ ბეჭვდის დროს სახალ-ხო განათლებისთვისაც მიექციად ყურადღება, და სახალხო სახელმძღვანელო წიგნებიც ებეჭდათ, ისინი-ამით ორნაირ სა-ქმეს გააკეთებდნენ, სახელმძღვანელო წიგნებით ერში გაავრცე-ლებდნენ წერა-კითხვას და წერა-კითხვის გავრცელებით „ცის-კარსაც“ მიემატებოდა ხელის მომწერთა რიცხვი, თორე „ცის-კარი“ ისე დაიხურა ოცის წლის არსებობის შემდეგ, რომ 200 ხელის მომწერზე ზეით არ ასულა. ნუ თუ ეს არ კმარა მის საფუძვლათ ვიქონიოთ, თუ საქართველოში როგორის ზლა-ზნით და სიმძიმით მიგოგავდა დაბალს ხალხში ქართული წე-რა-კითხვის გავრცელების საქმე.

იმ დროის საზოგადოებას არ სურდა დაბალ ხალხის ცხო-ვრებასთან დაახლოვება, დაბალ ხელოსანთ გონებაში ჩაჯდო-მა, მათი განკაცება, მათის ავისა და კარგის მხარეების შეტ-ყობა, გაცნობა მათის ვითარებისა და ხელმძღვანელობა, თუ მათში როგორ რის გავრცელება უნდა დაწყობილიყო, ამ მე-ტად მძიმე და რთულ საქმის შესრულება იკისრა იაკობ გო-

გებაშვილმა, ამან განიძრახა ჩვენს მდაბიო ერთან დაახლოვე-ბა, მათი ავი და კარგის შეტყობა, გაცნობა მათის ცხოვრე-ბის და ვითარებისა. საქართველოში არ მომხდარიყო და არ გაგონილიყო, რომ ვინმე განათლებულ კაცთ არამც თუ მდა-ბიო ხალხისათვის ანბანი დაბეჭდოს, არამედ მათ ვინმე და-ახლოვებოდა, მათი ცხოვრების ავი და კარგი შაეტყო, გან-ვითარების ზომა, ზნეობრივი მხარეები, მათი მიდრეკილება და სულის კვეთება, ერთის სიტყვით იგინი გაეცნათ კარგად, ამ გაცნობით ესარგებლნა საკმარისად, მერე მათთვის მიეძღვნა

ისეთი შესაფერ სახმარებელ სახალხო წიგნი, როგორც იყო პირველ დაწყებით წიგნი ანბანი „ბუნების კარი“, შემდეგ „დედა-ენა“ და მრავალიც სხვა წიგნები. მხნე და თავ-დადებულ მამულის შვილის ცხოვრების ცნობები ჩვენთვის სახელმძღვანელოთ უნდა დაშთეს, დიდს გასაკვეთათ და სულის და გულის აღსაძგერათ, მისის ცხოვრების მხარეები ბევრათ საყურადღებოა და შესასწავლი, მაინც ჩვენს ძველს მწერლებში კეთილის თვისებით, მაღალის მამულისშვილობით და სამაგალითოს შესასწავლ და მისაბაძ მხარეებით ათიოდე კაცი ბრწყინავს, რომელთაც ქართველობაც კარგათ იცნობს, ამათ აღბეჭდეს თვისი ნავალი, მათ შექმნეს ჩვენი ახალი მწერლობა. ერთი ამათაგანია იაკ. გოგებაშვილი.

იაკობ გოგებაშვილის ასპარეზზე გამოსვლამდე მთელ თბილისში რომ დაგეარნათ, სადმე დუქანში ერთობ იშვიათად ნახავდით ქართულ რამე წიგნს, ან ანბანს, აქა-იქ ვაჭრებში კი შეგხვდებოდათ, უმეტეს ნაწილს ხელთ ნაწერს დავთრებს, ისინი ქართულ ანბანს სწავლობდნენ საქმის საჭიროებისა გამო და არა სულისა და ხორცის ასამაღლებლათ და გასაფართოებლათ, იმიტომ მათი წიგნის ცოდნა ჩვენთვის არ ცოდნათ ჩაითვლება, მაშინ უსულ უხორცო იყო მათი ცოდნა ჩვენთვის, დღეს უფრო ხომ წინ წავიდმ მათში ეს წესი. ესენი ქართულ ენას თავიანთ მონათესავე ენათაც რა სთვლიან, თუმც დღესაც მათ ამ ენას გარდა სხვა არაფერი ენა იციან

ისე კარგად, როგორც ქართული, ამათ მამა-პაპებმა ხომ სულ არ იცოდნენ ქართულ ენის გარდა სხვა რამ ენა. მაგრამ რასა ვიქმთ, ჟამთა ვითარებამ ასე დააყენა მათი და ჩვენი საქმე, ამათ ასეთი საქციელი მე ერთის მხრით უკანონოთ მიმაჩნია, უკანონოთ მიმაჩნია მით უფრო, რადგანაც ამ გვარის ქართველნი, რომელთაც ოდესმე სომხის რჯული მიუღიათ, თუნდ ბატონ-ყმობის დროს, მებატონეთა მრავალნი დევნულნი ყმანი მირბოდნენ განჯისკენ, ერევნისკენ, იქ სომხის ეკკლესიას უერთდებოდნენ, სახელს და გვარს სომხურად ირქმევდნენ, სწავლობდნენ მცირედ სომხურ ენას და მერე ბრუნდებოდნენ, თბილისში, აქ სომხობდნენ. ასეთის გასომხებულის ქართველებით საესეა თბილისი და საქართველოს სხვა-და-სხვა დაბანი და ქალაქნი. საქართველოს სომხობაში ნახევარზე მეტი ქართველი გვარის ხალხია სჯულის გამო მოყოლებული და გასომხებული, რომელთაც დღეს სარწმუნოების მეოხებით გვარტომობითაც ასომხებენ. აქ უნდა დაუმატოთ: რადგანაც სიტ-

ყვამ მოიტანა, რომ ასეთ გასომხებულ ქართველებს გარდა ძველად გასომხებულნი ქართველნიც არიან, ზოგი თავიანთ ნებით, ზოგ ოსმალ-სპარსთა დევნის მეოხებით და ზოგიც უკანასკნელ მსოფლიო კრების განკარგულებით დარჩნენ სომხის ეკკლიესიის კერძოთ, ბევრი ამ ქართველთაგანი X საუკუნის გასულს იქმნენ ქართულ ეკკლესიასთან შემოკავშირებულნი. სომეხთ მეოსტორიენი სწორედ ამ გარემოების წყალობით სთვლიან კახეთს სომხეთის ნაწილად და კახელთაც სომხებათ. ეს ჭეშმარიტებას მოკლებულია. სარწმუნოება გვარტომობას ვერ შესცვლის, იგინი კი ისეთ მიმართვას ადგანან, რომ სარწმუნოებას გვარზედ მაღლა აყენებენ. მათის ფიქრით ვინც კი უცხო ტომის კაცი გრიგორიანობას მიიღებს, იმან იმ დღიდამ თავის გვარტომობიდამაც ხელი უნდა აიღოს და სთქვას, რომ ტომითაც სომეხი ვარო. ეს რა ჭკუაში მოსასვლელია, ამის მეოხება არის რომ მთელ ქართლის გრიგორიანის სარწმუ-

ნოების მექონ ქართველობას ასომხებენ, მათში განხეთქილებასაც სთესვენ და სხვა.

აქ ეს სიტყვამ მოიტანა, რადგანაც ჩვენ ვაღიარეთ ის, რომ 1860 წლებში, თბილისში, რა ხალხში იყო ქართული ანბანი მოფენილი, ანუ ქართული დავთრების წერა და წიგნების კითხვა, ბევრნი იტყვიან, რომ მაშინ ქალაქში ქართული ძრიელ ბევრმა იცოდაო, ვაჭრები სულ ქართულად სწერდნენ და კითხულობდნენ, ყოველს კუთხეს ქართული გაისმოდაო. დიახ, ეს მართალია, რომ იმ დროის ვაჭრები სულ ქართულად სწერდნენ და კითხულობდნენ, მაგრამ მათი წერა და კითხვა ჩვენთვის იმ დროს უმნიშვნელო იყო, იგი რომ უსულ უხორცო არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფდა. „ცისკრის“ 200 ხელის მომწერი მარტო თბილისში უნდა ყოფილიყო, რადგანაც იმ დროის მთელი თბილისის ვაჭრები ქართულად სწერდნენ და კითხულობდნენ, მაგრამ არა, ეს ასე არ გახლავსთ, ერთი ვაჭარიც არ იწერდა ქართულ ჟურნალს და წიგნს, რადგანაც ეს იმათი სჯულის ენის წიგნები არ იყო, ისინი ქართულს ანბანს შინაურობაში, ძველ ნახევ ქაღალდებით სწავლობდნენ. რომ ეს ყოველივე მართალია, ამას გამოაჩენს ის მაგალითიც, რომ დღეს იმ ქართულის დავთრების მწერავ-მკითხველთა შთამომავალნი ქართულს ენაზე არც-კი კადრულობენ ლაპარაკს, სომხობენ და ისე სომხობენ, რომ ლამის საქართველო სომხეთად აქციონ, თბილისი თავიანდ საკუთრებათ მიაჩნიათ, ისტორიულ ჭეშმარიტებასაც-კი ეწი-

ნააღმდეგებიან, ასეთ შთამომავლობის წინა პართ ქართული ანბანის ცოდნას ჩვენთვის რა მნიშვნელობა უნდა ჰქონიყო? არაფრის, ან ჩვენ რა მნიშვნელობა უნდა მივცეთ.

ჩვენ მარტო ჩვენს იარაზე გვაქვს საუბარი, ჩვენს წყლუ-ლებზე, ჩვენ გვინდა, რომ მარტო ჩვენს ვრდომილ ტომის შვი-ლებთ აღორძინების საქმეს შევეხოთ და აღვნიშნოთ ის, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ ქართველთ გლეხთ შვილებ-მაც იწყეს თვალების გამოფშვნეტა, ამ დრომდის ამათ ნებაც

არ ქონდათ აქაიქ გასვლის და მოჯამაგირეთ, ან შეგირდათ დადგომის, ბატონის ნება დაურთველად ვერსად წავიდოდნენ, ბატონი კიდევ უხარკოთ ნებას არ აძლევდათ, რადგანაც მონა ღატაკი შვილებს კი ხარკის გადახად სულ არ შეეძლოთ. ბატონ-ყმობის შემდეგიდან-კი გლეხთა შვილებმა იწყეს აქა-იქ მიკი-ტნის დუქნებში, სარდაფებში, მეხაშეებთან, მეჩაიებთან ბიჭათ ან შეგირდათ დადგომა. აი ამ მოჯამაგირობის და შეგირდობის დროს მათ წინ დახვდათ ქართველთ გულ-კეთილ მამა მოძღვა-რი და მისგან შედგენილი ქართული ანბანი, „ბუნების კარი“ და „დედაა ენა“, მალე იწყეს მიკიტნის, სირაჯის და მეხაშის ბი-ჭებმა ქართული დაბეჭდილი ანბანების შეძენა და სწავლა წერა-კითხვის, მთელი დღე მათ ანბანი ხელში ეკავათ და სულ შიგ ჩასციცინებდნენ, რომ რამე ესწავლათ, შრომამ უნაყოფოთ არ ჩაიარა, იაკობ გოგებაშვილის ანბანით 1875 წლებამდის ბევრმა გლეხის შვილმა ისწავლა უადვილესად წერა-კითხვა. ამ საქმით იაკ. გოგებაშვილმა კაი სამსახური გაუწია ჩვენს ტომს. რგორც აკაკიმ იმოქმედა თავის ბრწყინვალეს კალმით ქართველებზედ, და ნამეტურ მდაბიობზედ, როგორც ილ. ჭავჭავძის კალამმა მიიზიდა უმრავლესთა ყურადღება, რო-გორც ანტ. ფურცელაძის ნაწერები მოიფინა ხალხში და მის მეოხებით მეორე და მესამეთაც გამოიცენ, როგორც სხვა ქართველთ საპატიო მწერლებთა ნაწერებმა იქონიეს ქართვე-ლებზედ გავლენა და მათ წერა კითხვის მოფენას ხელი შეუ-წყეს, ისევე იმოქმედა იაკ. გოგებაშვილის არა მარტო სას-წავლო წიგნებმა არამედ ყველა მის ნაწერებმაც.

ბატონყმობის განთავისუფლების შემდეგ, გლეხთა შვილებს იაკობ გოგებაშვილმა მიიწოდა წიგნი „ბუნების კარი“. ამ მო-ვლენა დაამხო ქართველების ბნელი არსებული რწმენა და ოც-ნება, ამ მოვლენამ ნათელი მოჰფინა ყველას თანასწორად, ამ მოვლენამ გლეხებს და მათს შვილებს ცხადათ ამცნია, რომ თქვენც კაცები ხართ, თქვენც ისეთივე შვილები, როგორც

თავადნი, აზნაურნი, მდიდარნი და სამღვდელონი, ღმერთს

ყველანი ერთ ნაირად გაუჩენივართ, ყველას ერთ ნაირი სახე
გვაქვს, ღირსება, თანასწორება და სხვა. როგორც დიდთათვის
არს საჭირო წერა-კითხვა და მეცნიერების შეთვისება, ისევე
თქვენთვის, აქამდის რაც იყო, იყო, ის მორჩა, მოისვენა, წა-
ვიდა თქვენგან, გაფრინდა. დღეს, თქვენ გამოხვედით მოქალა-
ქობის ასპარეზზე, დღეის შემდეგ თქვენ უნდა გაჰყვეთ აღორ-
ძინებას, შრომას და მეცადინეობას, რომ წერა-კითხვა შეისწავ-
ლოდ, შვილებს განათლება მისცეთ, ცხოვრება გააუმჯობესოდ
და ყოველ ნაირ ძალოვნებით დაწინაურდეთ. დროა, რომ
გლეხკაცობამ თვალები გაახილოს, დროა ამ წოდებამ თავის
პირად უფლებებს დაუწყოს ძებნა, წინ წავიდეს საქმით, ღირ-
სებით, შვილების განსწავლით, მეცნიერებით, აღებ-მიცემით
და სხვებრ, ყველა ამაებისთვის კი ახალ ერისთვის პირველ დაწ-
ყებითი საჭიროა ანბანის შესწავლა, წიგნის ცოდნა და აგერ
მეც პირველად მოგაწვდით ქართულს ანბანს, რომ პირველ
დაწყებით ჯერ ანბანი დაიწყოთ. მაშინ, მთელი თბილისს რომ
დაგეარნათ, თქვენ ვერც ერთ ქუჩაზე ვერ ნახავდით ერთს
კარგს სახელოსნო ქარხანას, საწარმოებელ მაღაზიას, კარგის
ვაჭრისას ევროპიელის ხელოსნების ხომ ნიშანიც არ სჩან-
და. აქა-იქ თითო ოროლა დალაქებს და უბრალო ხელოსნებს
შეამცნევდით. 1874 წლებში, თბილისში, უკვე თავი იჩინეს
წერა-კითხვის მცოდნე მუშა-ხელოსნებმა, მათ მალე შეემჩნათ
წინ წასვლის ტრფიალი, ამ აღორძინების მიზეზად უნდა
ჩაითვალოს 1866 წ. გაზეთი „დროება“, ამას მოჰყვა „მნა-
თობი“ 1869 წ. „სასოფლო გაზეთი“, „კრებული“, „გუ-
თნის დედა“, წინანდელი „ცისკარი“ 1857-1874 წ. „დროე-
ბა“-მ საკმარისი მნიშვნელობა იქონია ჩვენს ცხოვრებაზე.

ქართველთ უხეირო ცხოვრეაბმვე წარმოადგინა ქართვე-
ლთ კომენსკი და პესტალოცი, რომელმაც ქართველ ერის
გამო დაივიწყა ყველაფერი, თვით თავის სიამოვნებაც. ამ
სტრიქონების დამწერი მოწამეა მისის ასეთის ცხოვრების, მა-
გრამ ბევრნი მაინც სხვაფერ უმზერენ მის ასეთს მოქმედებას.

მე გულ გამოტეხით და ჭეშმარიტებით ვიტყვი, რომ ამ მო-
ღვაწის ცხოვრება ბევრ ნაირს ღირსებით არის სავსე, ამის
ცხოვრება არის უცოდველი, სპეტაკი, მას თავისუფლათ შეუ-

ძლიან სთქვას ის, რაც „წმინდა გონების კრიტიკა“-ში კანტმა სთქვა: „ღმერთო, მე რომ ვიცოდე, რომ ამაღამ უნდა მოვკვდეო, მაშინ ორის ხელით მივმართავ მას და ვეტყოდი ქებას, რადგანაც მთელს ჩემს სიცოცხლეში მე არ მახსოვს, რომ ერთი ბოროტება მექმნას ვისთვის-მე“-ო. ამას მე გავიმეორებ მასზე.

იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილი ეკუთვნის სასულიერო წოდებას. ეს გვარი ძველადვეა მოხსენებული სამცხე საათაბაგოს ისტორიაში. იაკობი დაიბადა 15 ოქტომ. 1840 წ. გორის მაზრის სოფ. ვარიანში. მამა იაკობისა იყო სოფ. ვარიანის მოძღვარი, რომელიც თავის დროის კვალად საუკეთესო გულ-კეთილ მოძღვარად ითვლებოდა. თავის მრევლის დიდი მფარველ მოამაგე იყო და მრევლსაც იგი დიდათ ჰყვარებია. იგი გარდაიცვალა 1864 წ. მაშასადამე იგი დაბადებულა ისეთ დროს, როდესაც საქართველოში ახალი წეს-წყობილება არსდებოდა. დედა იაკობისა მაგდანა, პატიოსანი მანდილოსანი და ერთი იმ მრავალთაგანი, რომლებითაც სავსე იყო მაშინ საქართველო, გარდაიცვალა 1869 წ. საკმარისად ხანში-შესული. იაკობი პირველად გორის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, მერე თფილისის სასულიერო სემენარიაში.

სემენარიის სწავლის დამთავრების შემდეგ კიევის აკადემიაში განემგზავრა და იქ დაამთავრა სწავლა. სწავლის დროს სასწავლებელში შესანიშნავს მოწაფეთ ირიცხებოდა. მას დიდათ უყვარდა ქართულის და რუსულის წიგნების კითხვა, მეცადინეობდა რუსულ ახალ და ძველ მწერლების გასაცნობად. ქართულს ენას და ისტორიას უფრო ყურადღებას აპყრობდა. მუდმივმა შრომამ და მეცადინეობამ იაკობ გოგებაშვილი წინ წასწია. იგი მალე გამოცხადდა რუსულის და ქართულის მწერ-

ლობის მცოდნე პირად. სასულიერო აკადემიაში ყოფნის დროს იაკობ გოგებაშვილს დიდი მოქალაქებრივი გამჭრიახობა ეტყობოდა, ეს სწავლობდა საეკლესიო საგნებს გარეშე სამოქალაქო აზროვნების მფარველ მწერალთ ნაწერებსაც. ეს ადრიდგანვე მიხვდა იმ ჭეშმარიტებას, რომ მომავალში ერი ნათელის გონებით უნდა წავიდეს წინა, სწორმა მეცნიერებამ ფრთები უნდა გაშალოსო, თანასწორბამ ფეხი უნდა მოიკიდოს ყველგან. ამიტომ საჭიროა წინ სვლა განვითარებით, ნათელის მიმართულებით, ჩვენგან მოკლეთ განმარტულ შენიშვნები ცხადათ ფლობდნენ იაკობ გოგებაშვილის გონებას, ესევე და-

ამტკიცა მისმა წერილმა გაბრიელ ეპისკოპოზე, რომელ წერილიც რუსულათ დაიბეჭდა „ახალ მიმოხილვა“-ში. სხავთა შორის აქ დამწერი საუბრობს 1860 წლის მწერლობაზე და იმ დროის საუკეთესო რუსულ ჟურნალს „სოვრემენნიკ“-ზე და მის თანამშრომელ ნ. ჩერნიშევსკიზეც და იმ დროისვე შესამჩნევად აღძრულს მატერიალისტიურ და იდეალისტიურს კითხვებზე. ვისაც სურს გაიცნოს კარგად იაკ. გოგებაშვილის უღრმესი ცოდნა და შეხედულება ახალ დროის მოძრაობაზე, იმას ეს წერილი და სხვა ასეთ წერილები დიდათ გამოადგება, ურჩევთ, რომ იგი წაკითხულ იქმნეს.

იაკობ გოგებაშვილმა მოიწადინა ყველა სამეცნიერო საგნების შესწავლა, შეისწავლა დაწვრილებით და მასთანვე სამეცნიერო კითხვებთა მიზეზნი და საგანნიც კი, ყველა ნივთთა საგანნი და საიდუმლო მნიშვნელობანი, ამას ითხოვდა რეალური პედაგოგიკა, ამას ითხოვდა მისი მერმისი შრომა, მამულის სიყვარული, ერის სამსახური, სამოსწავლებო წიგნების გამოცემა და მათის მეოხებით ქართველს მოზარდ თაობაში ჭეშმარიტ, შეუმცდარ ცნობების გავრცელება. ამასვე ღაღადებდა მაშინ დიდებული სპენსერი განათლებულ ინგლისელთ შორის თავის თხუზულება „აღზრდით“, ამასვე ქადაგებდენ მთელის ევროპის საუკეთესო მსწავლულნი, მეცნიერნი და მოქალაქენი კაცობრიობის სასარგებლოდ.

იაკობ გოგებაშვილმა ზედ მიწევნით შეისწავლა მღვთის მეტყველება, მეტაფიზიკა და 1840 წლებში აღორძინებული პოზიტივური ფილოსოფია. ადრიდგანვე გაჰყვა გერმანიის მეტაფიზიკთა და ფილოსოფთა წიგნების კითხვას. ჰეგელის მეტაფიზიკა და ასეთის ფილოსოფების ფილოსოფიურმა წიგნებმა ვერ მიიზიდეს მისი გულის გრძნობანი, იგი ვერ შემოსეს შავის შეხედულობით, მის ლტოლვას და მისწრაფებას წინ ვერაფერი აღუდგა, კანტის „წმინდა გონების კრიტიკი“-ს ნაყოფი კრიტიკათ და მაგრათ დაუშთა, იაკ. გოგებაშვილი თუმცა ერთის მხრით მეტრფე და მიზიდულიც იქმნებოდა ჰეგელის და ამის მიმდევარის ფილოსოფოსებისაგან, მაგრამ არა, მას უფრო მკაცრად ახალისებდენ ცნობილი ოგიუსტ კონტი, სპენსერი და დარვინის დიდებული მოძღვრების მიმდევარნი, რაც მან თავის გონებისათვის აუცილებელს მოვალეობათ ჩათვალა. ზემოხსესებულ მეტაფიზიკთ სწავლაზე მაღლა მან სხვა მეცნიერება დააყენა: ფიზიოლოგია, ანატომია, ზოოლოგია, მეცნიერული ფილოსოფია, შედარებით ლინგვისტიკა,

რიალური პედაგოგიური მოძღვრება. მის საყურადღებოთ
გახდა სპენსერი თვის შესანიშნავის სოციოლოგიით, გერ-
შელი მატემატიკურის ვარსკვლავთ-მრიცხველობითა, ფოხტი,
გეკელი, გეკსლი, უელოსი და მრავალნიც სხვანი დიდებულ-
ნი მეცნიერნი და ბუნების საიდუმლოების მეძიებელნი, რო-
მელთაც ევროპაში ნათელის მაძიებელი ლტოლვა დაბადეს,
რომელთაც აღმართეს დროშა ჭეშმარიტ მატერიალისტიურის
რეალიზმისა, კეთილ იდეალიზმისა, რომელთა მოღვაწეობი-
თაც კაცობრიობას თვალები აეხილა და ბევრი რამ ავი და
კარგი დაინახა.

სულ ამ დიდებულ პირების მიმდევრობის მეოხება იყო
რომ იაკობ გოგებაშვილი სუფთა მოქალაქეთ გამოვიდა. ყო-
ველთვის მფარველობდა ევროპის მსწავლულთ მეცნიერთ და
ფილოსოფოსთ სწავლა-მოძღვრებასა, მათს მოძღვრებას თვის

სახელმძღვანელოებშიაც ჯეროვანი, ფართო, საპატიო ადგილი
დაუთმო.

მხნე და ახოვან მოღვაწემ ქართველთ გლეხთა შვილებს
აუწყა მდაბიურად ევროპის დიდებულთ და სასიქადულო მე-
ცნიერთ აზრები: ასწავლა ბუნების მეცნიერება, თან კითხვე-
ბი მისცა მათ, თუ რისაგან ხდება დედა მიწაზე ათას ნაირი
ცვლილება, გარდაქმნა, გარდახალისება. რისაგან სწარმოებს,
რომ კაცს და პირუტყვს ორი ფეხი აქვს, ორი ხელი და არა
თითო, რით სუნთქავს კაცი, რა მაშინა უძევს სასუნთქათ,
რითი საზრდოებს კაცი, რისაგან შესდგება იგი, რისაგან გა-
ჩნდა, ვისთან ა ქვს მას ნათესაობა, რისაგან ხდება, რომ ბაღ-
ში და ტყეებში მრავალნი ხეხილნი ისხამენ სხვადასხვა ფე-
რად ხილს, შეხედავ ერთს ხეს, სისხლის ფერი ხილი მოუს-
ხავს, მეორეს ყვითელი, მესამეს ვინ იცის რა ფერი და რა
მსგავსი, ნეტა ვინ შეამზადა ეს, ვინ მოაბა, რა ხელმა და რა
მანქანამ გააკეთა. ჩვენ რომ ვეწვალოდ და ხელები დავიმ-
ტვრიოდ მუშაობით და მანქანის კეთებით, მაინც ვერ შევ-
ძლებთ და ვერაფერს გავაკეთებთ ასეთს. არამც თუ ბროწე-
ულს და სხვა ასეთ რამეებს, არამედ პატარა ხილსაც ვერ მო-
ვამზადებთ ისე, როგორც ბუნება ამზადებს მას, რა არის ამის
მიზეზი? ამას ცოდნა უნდა, შესწავლა და განვითარება.

რისგან ხდება, რომ ათას ალაგას ერთ ნაირს მიწაში სულ
სხვა-და-სხვა ნაირი ჭიები ჩნდება, უდედ-მამოთ, უსაშვალოთ,
უსახლ-კაროთ, ერთ პატარა მანძილზე, ერთ ალაგას წითელი
ჭიები ჩნდება, მეორე ალაგას იქვე შავი, იმისავე ახლოს ყვი-

თელი, წითელი და ვინ იცის რამდენ ნაირი რამ არა, რაც
დედა-მიწაზე და ბუნებაში დაუთვლელია, აღურიცხველი. რა
მიზეზია, რომ დედა-მიწა ტრიალებს და არა მზე და მთვარე,
რა ათენებს და აღამებს, რას გვანან და წარმოადგენენ ეს მნა-
თობნი, რა არის დედა-მიწა, ზღვა, წყალი, სინათლე, სითბო,
რა არსებათ უნდა ვიცნათ პირუტყვნი, ფრინველნი და მრა-
ვალნიც სხვები, რომელთა ზოგნიც დედამიწას ამშვენებნ, რო-

მელთა უმეტესის ნაყოფით, ხორცით, რძით დ ყველით კაცო-
ბრიობაც სტკბება. ჩვენს სიტყვებს ცხადათ ამტკიცებენ მის
გან ნაშრომნი მოთხრობანი, ჩვენის ერისთვის დაწერილნი,
ჩვენის ბნელის გონების განსანათლავათ. იაკობ გოგებაშვილ-
მა ქართველებში ბრწყინვალედ ჰქადაგა არამც თუ მარტოდ
ფოხტო სენტ-ლერი და სხვები, არამედ ლაელი, შლეიდე-
ნი და თვით დიდებულის დარვინის მოძღვრებაც. მის ნატვ-
რის და ქადაგების პოპულიზაციათ გამოისახა შემდეგი: ქართ-
ველ ერს უნდა მიეცეს განათლება და მასთანვე ყველა სამე-
ცნიერო საგნებთ შესწავლა, უსწავლელთ შვილებს უნდა
ვამცნოდ ნათელი სწავლა, მათთვის გავაღოდ დახურული კა-
რი მეცნიერებისა, განვითარება მხოლოდ სწორ მეცნიერების
საშუალებით შეიძლება, მეცნიერებამ დაამტკიცა დედამიწის
ტრიალი და ბევრი სხვა რთული კითხვები, მეცნიერებამ დას-
ცა უთანასწორობა, მონობა, ბატონ-ყმობა, მეცნიერებავე აღ-
ადგენს ჩვენს დახშულთ ქართველთ შვილების გონებას დ კაცო-
ბრივს ღირსებას. ხსენებულ ჰაზრების თანახმად იგი ამ მოძღ-
ღვერებას თვით პატარა საბავშვო მოთხრობებშიაც კი ატა-
რებს და ავრცელებს, როგორც ფოხტმა იცოდა მოთხრობების
წერა ყმაწვილებისათვის.

აკადემიის სწავლის შემდეგ იაკობ გოგებაშვილი მალე
აღმოჩნდა სამოქმედო ასპარესზე მოღვაწედ. ეს დანიშნეს თბი-
ლისის სასულიერო სასწავლებლის ზედა-მხედავად. ამ შემთ-
ხვევით ისარგებლა იაკობ გოგებაშვილმა და თავის მეცადინე-
ობას და ნაყოფს ხალხისთვის გამოყენება და ხმარება მისცა. თა-
ნამდებობის დროს იგი ირიცხებოდა სკუკეთესო მზრუნველათ,
საუკეთესო კანონ-მდებლათ და მოძღვრათ. მის გამგეობის
დროს ბევრს გლეხის შვილს განეღო სიბრძნის კარი და მეც-
ნიერების სიყვარული. აქ ამ პირის მსახურებას ბევრნაირი
მნიშვნელობა აქვს, თვისი ღირსება და სისრულე, აქ გავიხ-
სენებთ მხოლოთ ერთს, რაც მის ცხოვრებაში საკმარის პა-
ტივ საცემ ღირსებათ უნდა ჩაითვალოს, ეს პატივსაცემი ღირ-

სება არის იაკობ გოგებაშვილის წმინდა ქართველობა, საქარ-
თველოს და ქართველის გარდამეტებითი სიყვარული.

იაკობ გოგებაშვილს მეტისმეტი შემბრალე გული აქვს,
მისი გული ღატაკ ქართველთ მოწაფეთ სიბრალულისაგან ყო-
ველთვის ბრწყინვალებს, მისი გული და გრძნობა ასეთ საქ-
მეთა ყურადღების მოპყრობისთვის არის გაშლილი ამით იგი
იქამდის აღფრთოვანებულიყო ქართველთ ღატაკთ სიყვარუ-
ლით და შებრალებით, რომ მის შესახებ მკაცრი დარიგების
წერა ადრიდგანვე დაიწყო, თვით „დედაენაშიაც“ მოათავსა
ბევრი შესანიშნავი თვალ-მარგალიტი სახალხო ლექსები, რომელ
ლექსებიც ქართველთ ბავშვებისაგან მშვენივრად იკითხება და
ისწავლება.

ყოველი დიდებული პირი ხდება დიდებულ პირათ უფრო
მაშინ, როცა იგი თვის კაცთ მოყვარეობის შესახებ ქადაგე-
ბას საქმეთ გადააქცევს, როცა მის სიტყვა ლიტონ ღაღადე-
ბათ კი არ დაშთება, არამედ სიტყვა საქმეზე შეინაცვლება.
ამას ჩვენ მიტომ ვამბობთ, რადგანაც ჩვენში და სხვაგანაც
ძალიან ბევრნი გახლავან ოფილ-თბილ ძმობის მღაღადებელ-
ნი, დამრიგებელნი, ღატაკთ შემბრალებელნი, ვრდომილთ პა-
ტრონნი, საპყართ ხელის მიმცემნი, მაგრამ ყველა ეს მხო-
ლოდ სიტყვით, განყენებულის მსჯელობით, მჭევრის კილო-
თი, ენა მზეობით, ცარიელ გარეგან განსპეტაკებულ რეტო-
რებით, თორემ საქმისაგან ესენი შორს სდგანან, ესენი არც
ჭირში იღებენ მონაწილეობას, არც ლხინში, არც ცრემლის
ღვრაში, არც ვაებაში, ასეთი პირების ხელობა სხვა რა უნდა
იყოს, თუ არ ცარიელ რეტორებით სავსე მსჯელობა, მის მეო-
ხებით ნიღაბ ქვეშ თავის ამოკატუნება. ასეთი მანქანების პი-
რები ძველათაც ყოფილან, დღესაც ბევრნი არიან, ასე იქმნე-
ბა თითქმის იმ დრომდის, ვიდრე ერი სწავლით უმაღლეს წერ-
ტილამდის არ ავა, ვიდრე მაცხოვრის და ახალ მეცნიერთ
ძმობის სწავლის სხივების გეგმა ჩვენს გულში არ გამტკიცდე-
ბა. ამ სიტყვების დამწერი მოწამეა მის, რომ ჩვენში კაცი

ბევრს ვერ შეხვდება ისეთ პირს თავის შეძლების და კვალად
ისეთ ქველობით სავსეს და თანამგრძნობელს, როგორიც ხსე-
ნებული პირია, არა მგონია ამის მხრით ჩვენში იაკობ გოგე-
ბაშვილს ბევრი შეედაროს, ეს ყველამ კარგად იცის, ამასვე

ამტკიცებს მის განმარტოვებული ცხოვრება. იგი ისეთ გარე-
მოებაში იყო მოქცეული, რაის მეოხებითაც მას შეეძლებოდა
რომ თავის დროსვე გმირ-გოლიათი გამხდარიყოს, კაი ფულე-
ბის, კაი სახლ-კარის, შეერთოს ცოლი, დასაწაფებოდა სატრ-
ფოს ფიალას, ეგემა ცხოვრების გემო, სიამოვნება, თავის დრო
ლხინით და ნეტარებით გაეტარებინა, მოეჭამა, მერე მომკვ-
დარიყოს, იგი დაესაფლავებინათ დიდის პატივის ცემით და
ცრემლისა ღვრით. მან ყველა ამაებს გზა აუქცია, ცხოვრების
მიმდინარეობის ბილიკს ასცდა, სხვა გზას და მიმართვას დაად-
გა, გარემოება კეთილად ვერ შეეცვალა, ათას ნაირი კვანძი
და ხიფათნი მოჰყვა მის მოქმედებას, მისთვის აუცილებელს
საჭიროებათ შეიქმნა განმარტოებით ცხოვრება თავის სიკვ-
დილის დღემდის. ვინც მას ცილს დასდებს, იგი მოვალეა რომ
ჯერეთ ხსენებულის პირის ძველი და ახალი მდგომარეობა
გაიცნას კარგად და მერე წარმოსთქვას ხსენებულს პირზე რა-
მე განკითხვითი შენიშვნები. ამ პირის უცოლშვილოთ დაშ-
თენას ზარალი არავისთვის რა მიუცია, ეს მომწონს, ამას ით-
ხოვს კაცობრივი მოვალეობა, ზნეობა, საზოგადო საქმეების
პატივის ცემა.

აქ ნურავინ რას გაიკვირვებს, საკვირველი რა არის, რას
გავს ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი ყოფა ცხოვრება და ვითარე-
ბა, რას წარმოვადგენთ და რა ვართ, თუ არა კეთილი საქ-
მისთვის მოვლენილნი, რათა გვწყინს მცირე რამ საწყენი სა-
ქმე, რათ ეკამათა კერი მალტუს, რათ დალეწა ერთმა მეო-
რე, თუ არა კეთილის საქმის გულისთვის, რათ აწამეს ჰუსი, ბრუ-
ნო, გალილეი და ათასიც სხვები, თუ არა კეთილის საქმის
სამფარველად, რათ ეწამებოდნენ ჩვენი გმირები და ქალები
თუ არა მამულის სიყვარულის გრძნობების მეოხებით და მის-

თვისივე დარაზმულობით აღსავსენი. დღეს ჩვენთვის საჭიროა
ისეთი მოღვაწეები, როგორიც არის იაკობ გოგებაშვილი. ეს
პირი მართალია ჩვენს ცხოვრებაში განდეგილი პირია, მაგრამ
ამავ დროს მოღვაწეა თავის ერის საქვეყნო საქმეების და მას-
თანვე დიდი მფარველიც. დრო არის უკვე, რომ ჩვენმა სამ-
შობლო ქვეყანამ უნდა დაბადოს ასეთი მოღვაწეები, დრო
არის უკვე, რომ მოქმედების ასპარეზზე გამოვიდნენ ისეთი
კაცები, რომელნიც სიტყვა „მეს“ ძახილს უნდა განშორდ-
ნენ, მის ნაცვლად სატრფიალო საქმეთ უნდა გაიხადონ სამშობ-
ლო ერის ქვეყანა, ენა, მწერლობა, ხალხის ბედნიერება და
წინსვლა, ამის მოპოებისათვის მათ არაფერი უნდა დაიშუ-

რონ. რაკი კაცი თავის ქვეყნის შვილათ ხდება, ერის მოყვა-
რეთ და სამოქმედო ასპარეზზე გამოდის, ის ამიერიდამ უნდა
მოესხლიტოს ბევრს რამეს.

იაკობ გოგებაშვილი არის გამოჩენილი პედაგოგი, ზედ
მიწევნით მცოდნე თავის საგნის, კარგად შესმენილი და გაც-
ნობილი პედაგოგიურს კითხვებში, პედაგოგობით რომ ეს მა-
ღლა სდგას თავის დროის ქართველებზედ, ამას ყველა განათ-
ლებული და პატიოსანი ქართველნი აღიარებენ, ამას ფიცი არ
უნდა, მის ნამოქმედარი საქმეებიც ამტკიცებს, მთელი ამის
შრომა და მეცადინოება ცხადად მოწმობს. ი. გოგებაშვილის
შემდეგ დროის პედაგოგებში კი მრავალნი გაჩდენ ქართველთ
შორის ისეთნი, რომელნიც ადგილობრივ პედაგოგიურს ას-
პარეზს ცხადლივ ამშვენებენ, არც ერთ უცხო მსწავლულთ
პედაგოგებს არაფრით ჩამოურჩებიან, ამ საპატიო და განვი-
თარებულთ ქართველთ პედაგოგებს ყველგან იცნობენ და პა-
ტივს სცემენ ქართველობაში. ღმერთმა ქმნას, რომ ასეთ პე-
დაგოგები ქართველთ შორის გამრავლდენ და ყოველს გემ-
ნაზიაში, სემენაიაში და ასეთ სასწავლებლებში მოეფინენ,
ეს ჩვენთვის სასარგებლოც იქმნება და გამოსაჩენიც. ყველა
ასეთ პატიოსან მცოდნე პირნიც ი. გოგებაშვილს საკმარისად
აფასებენ. ამ პირის წინაღმდეგ ბევრმა განიძრახა წიგნების

გამოცემა, ბრძოლა, კამათი და ჯიბრი, მაგრამ ვერაფერი გა-
აწყეს, ვერაფერი გააწყეს იმიტომ კი არა, რომ ი. გოგება-
შვილი მათ წინააღმდეგ უსამართლოს ძალოვნებით დარაზმუ-
ლიყოს, არამედ მათ ამის ძალა არ შესწევდათ, ამის შესახებ მე
რომ არ ვილაპარაკო, მგონი უამისოთაც ყველასათვის
ცხადი უნდა იყოს თუ ი. გოგებაშვილმა რა მწუხარე-
ბა და კამათი გამოიარა მრავალთ ქართველთ წინაშე მის გა-
მო, რომ დაემტკიცებინა მათთვის რომ ჭეშმარიტება ჭეშმა-
რიტებათ უნდა დაშთეს, ემტკიცებინა, რომ რაც კარგი არ
არის, გამოსადეგი და სასარგებლო, იმაზე კაცმა არც უნდა
იშრომოს, თავის ნაშრომი არც სახმარებლათ უნდა გამოაქვე-
ყნოსო. ჩვენ, ქართველებს გვაქვს ბევრი კარგი ანდაზები, სა-
დაც ქართველთ სულიერი და ხორციელი მხარეები მკაფიოთ
და ნათლად იხატება, მაგრამ ხშირათ ჩვენ ამ ძველის სიბრძ-
ნის ანბანებითაც კი ვერ ვსარგებლობთო.

იაკობ გოგებაშვილმა დაბეჭდა ანბანი, „ბუნების კარი“
„საყმაწვილო კონა,“ რუსულ-ქართული ენის სახელმძღვანე-
ლოები და ბევრი კიდევ სხვა წიგნები, რომელთაც ჩვენ აქ

არ ვახსენებთ, აქ მოვიყვანეთ მარტო ის წიგნები, რისაც იაკობ გოგებაშვილმა ჩვენში ადრე დაიწყო ბეჭვდა, რომელ წიგნებიც ქართველთაგან დიდის სიამოვნებით იქმნენ მიღებული და ხმარებული, რომელ წიგნებმაც თავიანთ კვალად ადრევე გაუწიეს ქართველებს სამსახური, თავიან წილი სარგებლობა მოიტანეს, ეს სარგებლობა დღესაც მოაქვსთ, შემდეგაც დიდ-ხანს დარჩებიან ცოცხალნი და სარგებლობასაც მოიტანენ, რადგანაც ამ წიგნების ღირსება და უცდომელება მრავალ მი-უსყიდავ მსწავლულთაგან იქმნა აღიარებული და პირ ნათ-ლათ გამოთქმული.

ქართველობამ ამ საუკუნეში ერთობ გვიან გაახილა თვალები, მწერლობა ხომ სულ არ არსებობდა, მწერლობაში თქვენ ვერ იპოვნიდით ვერც ერთ საყმაწვილო წიგნს, საყმაწვი-ლოდ გამოსადეგ სახალხო ზღაპრებს, სახალხო ლექსებს ან

დაზები, გამოცანები და ყველა ის მასალები, რაც კი ზემოხ-სენებულ პირებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ისეთს დროს, როცა ისინი ხსენებულს ნაშრომის შედგენას ჰკიდებდნენ ხელს და მუშაობას იწყებდნენ. ი. გოგებაშვილს წილათ ხვდა არა რაისაგან რამის დაბადება, ერთსა და იმავ დროს ყველაფრის კრება, გროვება და მერე მათი აკინძვა, ასხმა და სახელმძღვანელოების გამოქვეყნება. რაც ჩვენს თვალს არა უნახავს და სხვათა შრომასაც არ დავკვირვებივართ, მის სიძნელეს ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ, ჩვენ ის ადვილ საქმეთ მიგვაჩნია, უბრალო რამეთ, მაგრამ ასე არ არის ბა-ტონებო! ჩვენში ყველა საქმის დასაწყის და აღორძინებას ბევრი წვალება მონდომებია, რადგანაც აქ ყველაფერი ახლად დაარსდა, ყველაფერი თითქმის ახლად აღორძინდა. ჩვენ ახა-ლი ხალხი არ ვართ, ჩვენ ძველ კულტურულს სახელმწიფო ერთა რიცხვს ვეკუთვნით, მაგრამ უკანასკნელ დავეცით, ჩვე-ნი ყველაფერი მოიშალა, დავიწყებას მიეცა და ამ საუკუნის ნახევრის შემდეგიდგან კი მცირედ ვიწყეთ თვალის გახილება.

ქართველობა თავის მდგომარეობას კარგად მზერდა, მას ნათლად და კარგად ჰქონდა წარმოდგენილი ჩვენი უქონლო-ბის და არარაობის ამბები, მაგრამ მაინც ძველი წეს-ჩვეუ-ლების მეოხებით აღმხედრდნენ და დაირაზმნენ ი. გოგებაშვი-ლის წინააღმდეგ, ამ ოცდა ათი წლის განმავლობაში მის წი-გნების საწინააღმდეგოთ ვინ იცის რამდენი რა არ დაიბეჭდა, ზოგს დასაბეჭდათ დახმარებასაც აძლევდნენ, ესეც შეიძლებო-და?! ბევრს მომავალში წიგნის იმედსაც არწმუნებდენ, ბრწყი-

წვალე ბედს და ი. გოგებაშვილის წიგნების დაცემას, მაგრამ ამაოდ... ასეთ პირთ ნაშრომნი დაბადების დღიდგანვე მოწ-მობდნენ თვის უძლურებას, მომავალის უქონლობას, თავის დროსვე გამოუსადეგრობას ქართველთ ერის წინაშე. ჩვენი უბედურება ერთი კიდევ ის არის, რომ ერთი პედაგოგი დაარწმუნონ თავის შეცდომაში და წიგნის უსარგებლობაში, ეს რწმუნება უყურადღებოდ შთება მრავალთათვის, არ უწ-

ყით რისთვის! ის კი ვიცით, რომ ხშირად ჭკვიანი მხილება არამც თუ უცხოს არ უნდა რომ გაიგოს და შეისმინოს, არამედ თვით მოპირდაპირესაც არ სურს გაგება, ეს რომ ასე არ ყო-ფილიყოს, მაშინ იაკობ გოგებაშვილს იმდენს გულის გასა-ხეთქს საკამათო მასალას და საქმეებსაც არ აუტეხდნენ, რაც მათგან ატეხილა ხშირათ უკანონოდ, უადგილოდ, უსამართ-ლოთ და უჯეროდ.

რაკი ერთხელ დაიძრა ი. გოგებაშვილის წინააღმდეგ ხმა და ვისმესგან დაბეჭდილი რამე წიგნი, მას შემდეგ მიჰყვა წინააღმდეგობამ და დაიგრიალა, მრავალთ ეგონათ, რომ ი. გოგებაშვილს ამით რამეს დააკლებდნენ, ის კი არა, ამის შრო-მა უფრო აღამაღლეს ხალხის თვალში, დააწინაურეს, უფრო მეტი ღირსება და პატივი მოუპოვეს, რადგანაც მოკამათეების ნაშრომთან ი. გოგებაშვილის შრომა გაცილებით უმჯობესი აღმოჩნდა და უფრო რეალურს პედაგოგიკასთან ახლოს მდგო-მი, კარგის, სწორის წესით შედგენილი. ქართველების ბედას-ლის შურით აღჭურვილნი აღარაფერს აკვირდებოდნენ, ოღონდც კი ი. გოგებაშვილი დ მისი „დედა-ენა“ დაეცათ და ისინი ამის მეოხებით მთელ ქართველთ ბავშვების საჭიროე-ბასაც კი დაივიწყებდნენ, ეს იცის შურმა, მტრობამ და ბო-როტებამ. საოცარია ჭეშმარიტად! ნეტა ხსენებულმა პირმა და მისმა ნაშრომებმა ვის რა წაუხდინეს, ვის რა დაუშავეს, რომ მათ ამის მეოხებით ასე მომართეს თავიანთი მახვილი? არავის არაფერი, მაგრამ რას ვიზამთ, ი. გოგებაშვილზე ეს ახალი საქმე როდი არის ქართველთაგან. ხსენებულ პირის წინააღმდეგი ბრძოლა და ბრძოლა თითქმის დასანთქმელათაც კი იქმნა ადრიდგანვე მტრობით გამოწვეული, მტრები ერთ ნა-ირ ცილის წამებას და მტრობასაც არ დასჯერდნენ. ბევრი რამ ითქვა ი. გოგებაშვილის წიგნების სამტროთ, ბევრი კამათობა იყო გამართული ადგილობრივ გაზეთებში, ბევრი სჯა-ცილის წამება, ბეზღობა, ათას ნაირი სხვა მტრობა და ხრიკები, მაგ-რამ ი. გოგებაშვილის წმინდა გულმა, წმინდა ჭეშმარიტებამ

და შრომამ თვისი გაიტანა, დღესაც ი. გოგებაშვილი თავის შესანიშნავის შრომით, მამულის სიყვარულით, რიგიანის ქართულის სახელმძღვანელოებით და მწერლობით ჩვენის სამოქმედო ასპარეზზის უმწვერვალეს ადგილზე ბრძანდება და იქიდან დამზერის ქართველთ საქმეების მიმდინარეობას. ჩვენი განვითარებული საზოგადოება და თვით ბ. ნ. ნიკოლაძეც აღტაციბული იყო ამის შრომით რუსულ გაზეთებში, თვით რუსეთის პატიოსან მწერლებიც ასევე უმზერიან, დღეს ამის სახელმძღვანელოებს რუსეთის ქალაქებშიაც იწერენ სკოლებში სახმარებელად. ეს დიდი საქმეა ჩვენთვის და მასთან სანატრიც.

მწამს იგი ჩვენის ქვეყნის უშესანიშნავეს მოღვაწეთ, მასწავლებლათ და დიდ მამულის შვილათ. მან თავის „დედა-ენით“ და სხვა შრომით მრავალ ქართველის შვილის გვამში დაიმკვიდრა ბინა, მრავალ ქართველის შვილი განაკაცა, მრავალს გაახილებინა თვალები და მრავალთ სამწერლოდ და სალექსოაოდ კალამიც ააღებინა ხელში, ასე იცის ყოველგან და ყოველთვის წმინდა გრძნობამ, უანგარო მამულის სიყვარულმა, წმინდა სამსახურმა და ლტოლვილებამ. ჩვენ გვწამს, რომ სიწმინდესა და ჭეშმარიტებას ვერაფერი დასცემს, მას ვერავინ შეაფერხებს რაც უნდა გადაეღობოს წინ, რაც უნდა სალი კლდე აეყუდოს და გზაში გაეხიდოს, მაინც სიწმინდემ და ჭეშმარიტებამ თავისი უნდა გაიტანოს, ამიტომაც ი. გოგებაშვილის წმინდა უანგარო სამსახურს და შრომას ვერავინ რას დააკლებს დ მისგან შედგენილ სახელმძღვანელო წიგნებიც ჩვენში ერთობ დიდხანს იცოცხლებენ, დიდ ხანს დარჩებიან ერის სამსახურად. ქართველ ერს და შვილებს მისი წიგნები ისე აქვსთ გულში ჩახუტებული და შეთვისებული, რომ იგინი ამ წიგნებს ადვილად ვერ დასთმობენ.

ჩვენში და ჩვენს მასწავლებლებში პირველად ი. გოგებაშვილმა აღადგინა ის აზრი და აღაფრთოვანა, რომ ქართველ ყმაწვილს უსიკვდილოთ თავის დედა-ენაზე უნდა მიეცეს

სწავლა, რადგანაც ბავშვი დედა-ენის შეუსწავლიათ ვერც უცხო ენას შეისწავლის კარგათო. დედა-ენის შესწავლა უცხო ენის შესწავლის საფუძვლად უნდა ჩაითვალოსო, უდედა-ენოთ ყმაწვილი ვერა ღონის ძიებით ვერ წადგამს ფეხს უცხო ენის

შესწავლაშიო, ვიდრე ეს ჭეშმარიტება დამტკიცდა ჩვენში, მინამდის ერთობ დიდმა ხანმა გაიარა. თუმც ამის წინაღმდეგნი დღესაც არიან მრავალნი, რა გაეწყობა, ყველას თავისი აზრი აქვს...

ი. გოგებაშვილი ბრძანება მეტად მხნე, ცოცხალი და გამბედავი პირი, ჭეშმარიტებით აღჭურვილს არავის მორიდება არა აქვს. 1896 წ. თბილისის „ახალ მიმოხილვის“ ნომრები რომ ნახოთ, იქაც კი შეამცნევთ ამის ფელეტონებს სხვა-და-სხვა კითხვების შესახებ გამბედავს სჯას. როგორც მხურვალე მამულის შვილი ი. გოგებაშვილს მეტად დიდი კავშირი აქვს ჩვენს საერო სასწავლებლის არსებობასთან და მათ კეთილ დღეობასთან, საქართველოში არ არის სადმე ქართველ ერის სკოლა, რომ იგი ამ სკოლის მიმდინარეობას ყურადღებას არ აქცევდეს, ეს იცნობს ყოველს ქალაქს, დაბას და სოფელს, იცნობს ყოველს სკოლის შენობას, მასწავლებელს და მოსწავლეს, ისიც იცის, თუ სად როგორ სწარმოებს სწავლა, მასწავლებელი რა განათლების კაცია, რა სულისა და ხორცისა, რა მიმართულებისა და სხვანი, სკოლა ვისის დახმარებით, ვის ხარჯით ინახება, და ამ სასწავლებელმა რა სარგებლობა მოიტანა, იქიდან რამდენი ქართველი ბავშვი გამოვიდა თვალებ ახილებული და გონება გახსნილი. მე არა მგონია რომ ჩვენში ისე ლამაზათ და ზერ მიწევნათ კარგად იცნობდეს ქართულის სასწავლებლის სხეულს და მის აგებულებას, როგორც ი. გოგებაშვილი. ჩვენის სკოლების არსებობის საქმეებზე ამას ერთობ დიდი წარმოდგენილი შრომა და ღვაწლი მიუძღვის. ამ ღვაწლს ვინმემ ცალკე რომ მიუძღვნას წერილი, უფრო კი კანონიური იქმნება, რადგანაც ჩვენ ამ შრომის შედგენის ძალა არ შეგვწევს.

საერო სკოლების გარდა სამრევლო სკოლების საქმესაც ბეჯითად ადევნეს თვალ-ყურს. ამან იცის ყოველი სკოლის ვითარება, მოსწავლეთა რიცხვი, მასწავლებელი, ეკკლესია და მოძღვარი, ეს კარგად იცნობს ყოველ მოძღვრის თვისებას, იცის კარგად ვინ რა თვისებას ეკუთვნის, ვინ რას აკეთებს. ამას გარდა მას მეტათ კარგა და ჩინებულათ აქვს გაცნობილი საქართველოს სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობა, იქ სწავლის წეს-წყობილება და ყოველი რიგი და საქმის მიმდინარეობა, ამის წერილებმა ხშირად დიდი კამათი და ალიაქოთიც ასტეხეს აქა-იქ დიდ წრეებთ წარმომადგენთ შორის და მრავალაჯერ მისმა დაუღალავმა შრომამ ნაყოფიც მა-

იტანა.

ზოგი ერთი იტყვის, რომ ამ წერილის დამწერი ი. გოგებაშვილის შესახებ მარტო ქებას სწერსო, სწორედ ასე გახლავსთ. მე მარტო ქებას კი არა ვწერ, იმას ვწერ, რაც მართალია და რაც ყურადღების ღირსია ჩვენგან. რაც არ უნდა იქმნას დავიწყებული ჩვენის მომავალის თაობისაგან, უნაკლულო არავინ არის, შეიძლება პატივცემულ ი. გოგებაშვილსაც ჰქონდეს რამე ნაკლულევანება, მაგრამ ამას იმდენი ამაგი და საპატიო სამსახური მიუძღვის ჩვენის ერის წინაშე, რომ მის ნაკლულევანების შესახებ საუბარი, ქექვა, ჩხრეკა, ჩხირკედელობა და ძებნა წყლის ნაყვათ მიგვაჩნია.

ი. გოგებაშვილი მარტო პედაგოგიკაში, პოლემიკაში და კრიტიკაში კი არ არის დახელოვნებული და სახელოვანი, არამედ იგი არის ჭკვიანი და ბრძენი მწერალი ყველა ნაწილში და საგანში, მაგალითებრ თუნდ საზოგადო ისტორიაში და კერძოთ საქართველოს ისტორიაში. საქართველოს ისტორიაში ამან დიდი ცოდნა და განსჭვრეტა გამოიჩინა იმ დროს, როცა მის ისტორიულ წერილი „რანი ვიყავით გუშინ“ გაზეთ „დროება“-ში დაიბეჭდა, ამ წერილის მსგავსი წერილი ქართველ ერს თავის დრომდის სანახავათაც არ ენახნათ.

ასეთის შინაარსის წერილები მას მრავალი აქვს. ისტო-

რიულს ნაწილში ასეთის ღირსებისავე აღმოჩნდა „ასპინძის ომი“, რომელიც თავის დროზე ქართველთაგან დიდის სიამოვნებით იქმნა წაკითხული. ნამეტურ მდაბიო ერი აღტაცებული დაშთა, რადგანაც მათ ასე ლამაზათ და გასაგებ ენით დაწერილი ქართული ისტორიული წიგნი წასაკითხათ თვალითაც არ ენახათ. ამ წიგნის ღირსება და ერისაგან პატივის ცემა იქიდამაც ცხადათ მტკიცდება, რომ ეს წიგნი პირველ წელიწადს მთელი გამოცემა გაიყიდა, და მეორე წელიწადს კიდევ იქმნა გამოცემული ახალ-სენაკში. ასეთისავე ღირსების აღმოჩნდა „თავ-დადებულნი ქართველნი“ და სხვა ისტორიული მოთხრობები, რომლებიც ზოგი დაუბეჭდავები აქვს დღევანდლამდის და ზოგი ახლა იბეჭდება.

საყმაწვილო მოთხრობების წერაშიაც საპატიო ადგილი უკავია და მისგან მშვენიერათ დაწერილის მოთხრობებით ხშირათ გამშვენებულა „ნობათი“ და აწინდელ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილი“-ც. ამ პირმა ბავშვების ცხოვრება, ზნე, ხასიათი და გონების განვითარების და აღზრდის საქმე ისე ზედ მიწევნით იცის, ისე კარგათ, რომ თითქოს ეს პირი თვით

ბავშვების გვერდით სცხოვრობდეს და კერძოთ მათ ზნეს, ხასიათს და აღზრდის საქმეს ადევნებდეს თვალ-ყურს და სწავლობდეს. საყმაწვილო მოთხრობების გარდა ლექსებსაც აშალაშინებს მშვენიერათ, ისე როგორც ბავშვების სულსა და გულს მოეწონებათ. მე თამამათ შემიძლიან ვსთქვა, რომ ამ მხრით ი. გოგებაშვილი პირველ საყმაწვილო მწერლათ უნდა ჩაითვალოს ჩვენში. ეს დამტკიცდება მაშინ, როცა მის საყმაწვილო მოთხრობები ერთათ შეიკრიბება და ცალკე წიგნებით გამოიცემა. ამ პირის მაღალ განვითარების დასამტკიცებლათ მარტო ხსენებულ მოთხრობების გამოცემა არ კმარა, საჭიროა, რომ ადგილობრივ ქართულს გამოცემებიდგანაც შეიკრიბოს მისი წერილები და ყველა იგინი თავ-თავის დროზე ცალკე წიგნებათ გამოიცეს, რაც უეჭველათ დაამტკიცებს ხსენებულ პირის უაღრეს ნიჭს, ენციკლოპედიურ განვითარე-

ბას, დიდ მამულის შვილობას ქართველი ერის დიად სიყვარულს, ათას ნაირს ღონის ძიების ხმარებას, რომ მის საშუალებით ეგები ქართველ ერმა გაიღვიძოს და მის მეოხებით განვითარების ასპარეზზე გამოვიდეს.

ი. გოგებაშვილს თავის სიცოცხლე, მთელი თავისი მეცადინეობა და არსებობა საქართველოსთვის მიაჩნია და მის კერძათ, მას სხვა ჩვენის მოღვაწეებივით შარები არ უყვარს. მისთვის გლეხი, აზნაური, თავადი და სასულიერო წოდება სულ ერთნაირ შთამომავალს ქართველს წარმოადგენს, მას ყველა ქართველის ცუდი აწუხებს და ყველა ქართველის კარგი ახარებს, მას ყველანი ქართველებათ მიაჩნია, ერთ აკვნის შვილებათ, დიდ ქართლოსის ძეთ, ყველას იმას ავალებს, რომ წოდებათა განსხვავების ხანა წავიდაო, დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართო, ყველას ერთი გაჭირვება გვადგია კისერზე და ჩვენ თუ გვსურს, რომ ჩვენმა ტომმა თავის სამშობლოში ფეხი გაიმაგროს და არ მოისპოს, მაშინ თავადმა, აზნაურმა და გლეხმა ხელი ხელთ უნდა მისცენ და თავიანთ უღონო ძალა შეერთებულის ერთობით ფეხზე წამოაყენონო. ვინც ამის წინააღმდეგ წავა, ის მტერი იქნება ჩვენის მდიდარის წარსულისა, ჩვენის ბრძენის და დარბაისელ მწერლებისა, ქართველთ სასიქადულო მამულის შვილების და დიდებულის და სახელოვანის შოთა რუსთაველის, რომელმაც ქართველთ ერთობის აღსარება მეთორმეტე საუკუნეში წარმოსთქვა და და ჩვენს შთამომავლობასაც საღმრთო ვალად დაუტოვაო, რამ:

„თუ კაცი თითონ არ არის, ცუდია გვარიშვილობა“-ო, სწორეთ ამ აზროვნების მეოხებაა, რომ ი. გოგებაშვილი დიდის ნიჭით და გამბედაობით მოღვაწეობდა „წერა-კითხვის სამმართველოს“ დასაარსებლად, მის დაარსების შემდეგ მხურვალე მონაწილეობას იღებდა თბილისის თავად-აზნაურთა სკოლის დაფუძნების და გაძლიერების საქმეში, მის მტკიცე საფუძველზე დამყარებას და მერმისის ბედნიერებას. ამ სასწა-

ვლებლის ასეთი ბედი და არსებობა ითხოვდა დიდს მამულის შვილურს შრომას და მოღვაწეობას, დიდ პედაგოგთა ცოდნას და პედაგოგიურს მეცნიერებას, რაის მცოდნე კაცების მოპოვება ჩვენში იმ დროს იშვიათი იყო. მიტომ ამ პირმა და დიდათ პატივცემულმა ნიკ. ცხვედაძემ თავს იდვეს ხსენებულ სასწავლებლის ტვირთი, იწყეს დიდის ერთგულებით, უსასყიდლოდ გამგეობა, რამდენიმე წლის განმავლობაში ამათმა უანგარო შრომამ და დაუღალავმა მეცადინეობამ სკოლა მკვიდრს საფუძველზედ აღმოაცენა, სკოლა გაბრწყინდა, ყველა ქართველთ თავად-აზნაურთათვის ცხადათ შეიქმნა ამ უხუცესთ პედაგოგების უანგარობა და მასთან უსასყიდლო შრომა, ყველა გრძნობდა ამათს ამაგს, მათ თავიანთის შრომით სამადლობელ წერტილამდისაც მიაღწიეს. ამაგდარ მამულის შვილს ნ. ცხვედაძეზედ ჩვენ ცალკე ვისაუბრებთ პირ-ნათლად, ამას მოითხოვს ჩვენი მოვალეობა, რადგანაც ასეთი მოღვაწეები ქართველებს ბევრი არა გვყავს. ეს ჩვენ უნდა გავიცნათ მით უფრო, რადგანაც ჩვენში ხშირად ბევრისთვის მამულისშვილობა ამის დაჩემება და საუბარი ხელობათ გარდაიქცა, იგინი ამით კარგათაც სარგებლობენ და ერთ გროშით კი არაფერს საქმეს არ დაეხმარებიან. ხსენებულ პირნი კი ასეთ გმირებისაგან შორსა სდგანან და ამით მათი სამსახური სამაგალითოა, ნამეტურ შეუძლო ქართველთ წინაშე. ჩვენის ტომის უმეტესი ნაწილი ღარიბი გლეხკ-კაცობა არის, ღარიბებში ქართველ აზნაურები და თავადებიც გამოერივნენ, აქ ყველანი არიან მოთავსებულნი.

ეს მგონი ყველასთვის ცხადია, საერთოთ მთელს საქართველოში თუ არა, ზოგი ერთ გლეხ-კაცის შვილებმაც თვალები გაახილეს და სწავლაში შესდგეს ფეხი, მაგრამ ვაი მათ სწავლის საქმეს, ხშირად ასეთი კაცის შვილებს სასწავლებლიდან რეკავენ, რადგან მათ სწავლის ხვედრი ფული არ შეუტანიათ, ასეთ ყმაწვილების რიცხვი ყოველთვის ჩვენს საზოგადოებას ატყდება თავზე, უფრო რამდენიმე კაცს.

ბევრ ნაირ დახმარებას გარდა ფულის მოგროვება ხდება საჭი-
როდ, ვიწყებთ ფულის მოგროვებას, მაგრამ ვაი თქვენს მტერს,
რასაც ჩვენ ვაგროვებთ, რა წვალებით და ისიც რა საზოგა-
დოების ნაწილში, ისევ და ისევ ჩვენს წრეში, ჩვენს მეგო-
ბრებში, რომელნიც საყოველთაოდ გაჭირვებაში არიან, ისევ
მათ ატყდებათ თავზე ყველაფერი, მომგროვებელსაც დიდათ
უჭირდება, აქეთ იქით მისვლა-მოსვლა და შეწუხება ყოველ-
თვის ერთისა და იმავე პირების, ბევრს ხშირად დახმარების
მიცემაც უჭირდება, მაგრამ რას ვიზამთ, მეტი გზა რომ არ
არის, მაშ ვისთან წავიდეთ, სად მივიდეთ და ვის რა ვსთხო-
ვოთ. ნუ თუ ასეთ საყოველთაოდ შეწუხებულ პირებს გარდა
საქართველოში სხვა კი არავინა სცხოვრობს, რომ ერთსა და
იმავე დროს სხვასაც მიემართოს? – ცხოვრებით კი ცხოვრო-
ბენ და მრავალნიც არიან, მაგრამ მათგანი ვინ რას მოგცემს,
მათგან ვინ რას მიიღებს ან როდის, ვისთვის რა მიუციათ,
რომ ახლა მისცენ, მეტი გზა არ არის, ისევ და ისევ მოური-
დებლივ ჩვენს ღრმად პატივცემულ ი. გოგებაშვილი უნდა
შევაწუხოთ, ისევ მათ უნდა მივმართოთ ხოლმე, მათ უნდა
მიუყვანოთ მთხოვნელი პირი და დახმარება ვსთხოვოთ, რაც
მისგან ყოველთვის დიდის სიამოვნებით ჯილდოვდება, ყვე-
ლას შესაფერს პატივს სცემს, ყველას უღრმესი სიყვარული
აქვს, ყველა უძლური მოსწავლისთვის მას დიდათ შესტკივა
გული, მისის დახმარებისთვის მან აღარ იცის რა ჰქმნას,
ნამეტურ ქართველთ ღარიბ-ღატაკთ მოსწავლეებისათვის არ
იცის ხშირათ, ვის რითი და როგორ დაეხმაროს, ამის მნა-
ხველი მე თვით ვარ. ამ პირის ქონება და წიგნებიდან ანა-
ღები ფული თითქმის სულ ჩვენ საზოგადო საქმეების დასა-
ხმარად მიდის, მას თავის თავზე ერთობ მცირე რიცხვი ეხარ-
ჯება, ვინც ამას არ დაიჯერებს, მან გაიცნოს მისი შინაური
ცხოვრება და ის მაშინ ამაზე ცხადათ დარწმუნდება.

მეგობრებში და საზოგადო მოღვაწეთა შორის იგი ით-
ვლება ყველას საყვარელ მეგობრათ, ყველას პატივ საცემ პი-

რად, ეს ღირსება მას მიტო აქვს მოპოვებული, რადგანაც
მას მეგობართ და მოკამათის დამწყრალება არაფრათ სწამს,
მწერლობა რას ნიშნავსო, ჩვენ სულ არ შეგვფერის, რომ
საზოგადო კამათის მეოხებით ერთმანეთს შემოვსწყრეთო. მას

თუ შემოსწყრება ვინმე, თორემ ამ პირმა ეს არ იცის, თუმ-
ცა თავისებური მღელვვარება კი საკმარისად აქვს. ბევრნი ჰყვე-
დრიან, რომ ი. გოგებაშვილმა დაუსრულებელი პოლემიკა
და კამათი იცისო, ვისაც ჩამოეკიდება, იმას აღარ მოეშვება,
მოაბეზრებს წერითაო. ეს თქმა ერთის მხრით მართალია, მაგ-
რამ ი. გოგებაშვილის გამტყუნებას კი ჩვენ ვერ გავბედავთ,
რადგანაც ჩვენი საზოგადოების გონებითი განვითარებითის
ზომა ისეა მომართული და დაყენებული, რომ აქ კაცმა ხში-
რად მთელი გაზეთები უნდა აავსოს წერილებით, და ამტკიცოს
უბრალო მარტივი კითხვები, რომ ორჯერ ორი ოთხია და სხვა-
ნი, ასეთ ერსა და მხარეებში კაცმა როგორ უნდა გაარკვიოს
და ახსნას რამე კითხვა და საგანი დალაგებით, თუ არ
ვრცელის მიმოხილვით და განმარტებით, რაც კი იწერება და
ირკვევა, იმდენი უფრო უკეთესია მწერლისა და წამკით-
ხველისათვის და მოკამათეთათვისაც, ამას ფიქრი და ეჭვი არ
უნდა, სხვაგან საპასუხოდ მთელი ტომები იწერება და ჩვენში
რომ ორი და სამი ფელეტონი დაწეროს ვინმემ, იმაზე
ასტეხენ მაშინათვე საუბარს, რომ არიქათ, დამწერმა საქმე
გააჭირაო. როგორც წერაშია იგი დახელოვნებული და გაჩა-
რხული მოძღვარ მწერალი, ისევე საუბარში, იგი მეტის მე-
ტი კარგის ენის კილოთი ლაპარაკობს რუსულად და ქართ-
ულად, ქართულს საზოგადო საქმეთა ყრილობაში ყოველ-
თვის ქართულად საუბრობს, მასთანვე ყოველთვის ჰშვენის ქა-
რთულის ენით საუბარი.

ზემოთაც ვსთქვით მოკლეთ და აქაც ვიტყვით, რომ ი.
გოგებაშვილი მეტად შესმენილი პირია, ამ ძვირფას მოღვა-
წეს თუ რამ გააჩნია, ყველა ის ქართველების საკუთრებას
შეადგენს, მაგალითებრ ეს პირი ყველა სოფლის სკოლებს

თავის გამოცემაებს მუქთათ ურიგებს, ერთ დროს თავის წიგ-
ნებთან სხვის წიგნებსაც ატანდა ხოლმე. ნივთიერ დახმარე-
ბას გარეშე მას სიტყვითაც დიდი სამსახური მიუძღვის ჩვენის
ახალგაზდობის წინაშე. მას ბევრი შრომა აქვს დატოვებული,
ბევრი ოფლი აქვს დაღვრილი მრავალთ სემინარიელთა გამო.
მრავალჯერ მიმართულა მისი წერილები რუსულ გაზეთებში,
სადაც დალაგებით და პირუთნელად უსაუბრნია უბედურ
მოსწავლეთა ბედზე.

ჩვენ, ქართველნი, ვეკუთვნით მართ-მადიდებელს ეკკლე-
სიას, თანა მორწმუნენი ვართ ჩვენის სახელმწიფოის რჯულის,
მათ თანა მოსაყდრე, ქართველმა ერმა მართ მადიდებელ რჯუ-

ლისათვის თავი აწამა, 8 მილიონი ხალხი ორ მილიონად აქ-
ცია, დიდი გაჭირვება ადგა ჩვენს ქვეყანას. თანა მოსაყდრეო-
ბამ ჩვენ ჩაგვინერგა რუსეთის მფარველობა და ერთგულება,
ჩვენ მალე შევედით მათ ერთგულების ქვეშ, მის შემდეგ ჩვენ
მივეცით მოსვენებას, მოქალაქობას და განვითარების გზას
დავადექით. ჩვენის ენის გასამშვენებლად ჩვენ ბევრი რამ
აღვადგინეთ, საქართველოს ეკკლესიამაც შესაფერად დაიწყო
დღესასწაულება, ჩვენ, ქართველნი, კარგად ვგრძნობთ ჩვენ
წინ წასვლას, ჩვენის ეკკლესიის მშვიდობიან მდგომარეობას
და ამიტომ ჩვენის სახელმწიფოის დიდი ერთგულნი ვართ,
დიდი ერთგულება შეგვწევს, ეს ზნეობრივი ვალია, უამისო-
ბა ჩვენგან არ იქმნება, რადგანაც დიდათ ვაფასებთ ჩვენ რუ-
სეთის ღვაწლსო. ჩვენი ვალია, რომ დღეს ამ მშვიდობიანის
მდგომარეობით ვისარგებლოთ, სწავლა მეცნიერებას გავყვეთ,
ბნელის მდგომარეობიდან გამოვიდეთ, ქართველობა მოქალა-
ქებრივ გზაზე დავაყენოთ, შევისმინოთ კაცთ-მოვალეობა,
მეცნიერების სიყვარული, მწიგნობრობის, ძმობის, კაცთ სი-
ბრალულის და სიმართლისა, რაც ძველ ქართველთ უხვათ ჰქონ-
დათ მინიჭებული და რომელ ერთობის ძალამაც აღადგინა
საქართველოს ერი, იგი მორთო სწავლა განათლებით,
მეცნიერებით, ათას ნაირ ძვირფას ტაძარ მონასტრებით, რო-

მელნიც დღევანდლამდე საქართველოს კიდეებზე უხვათ არის
დარჩენილ გაფენილნი და რომელნიც ნათლათ მოწმობენ
ძველ ქართველის დიდებას. რა მართებს დიდებულ წარსუ-
ლის მექონს ქართველის შვილებსა? – რასაკვირველია აწინ-
დელ დროის თანახმათ მშვიდობა, მოქალაქობა, მეცნიერება
და სწავლა-განათლება, რომ მის მეოხებით შესწავლილ იქმ-
ნეს დიდებული წარსული დიდებულ ერის შთამომავალ ძე-
თაგან.

საქართველოში პედაგოგები მრავალნი არიან და ბევრს
მათში კაი სამსახურიც მიუძღვის ჩვენის ტომის წინაშე, ბევრს
მწერლობაშიაც უშრომნიათ და ზოგთა გვარიანი წიგნებიც
უწერიათ და უბეჭდავდათ, ამათ მოვლენას ი. გოგებაშვილი
ყოველთვის სიამოვნების თვალით უმზერსო და ენატრება ას-
ეთ მოღვაწეების გამრავლება და წინ წასვლა, ესევე დაამტკი-
ცა ამ პირმა ერთს თავის წერილში, როცა ამან ცნობილის
მოღვაწის ივ. როსტომაშვილის შრომას შეეხო. მან საქვეყ-
ნოდ განაცხადა, რომ ბ. ივ. როსტომაშვილს ჩვენმა საზოგა-
დოებამ თანაგრძნობა უნდა აღმოუჩინოსო.

დღესაც პატივისცემით უმზერს ივ. როსტომაშვილის შრომას და პირუთვნელად აფასებს მის ნაშრომებთ შორის მრავალ ისტორიულ და ეტნოგრაფიულ წერილებსაც, როგორც ახალქალაქის აღწერას. იქმნება ეს ივ. როსტომაშვილმა არც კი იცის, მე კი ხშირად მომისმენია. ი. გოგებაშვილი ყველა ასეთ პირებს დიდის თანაგრძნობით ეგებება და თუ კი ვინმე რამე კარგს, სასარგებლო სახელმძღვანელო წიგნს შეადგენს და დაბეჭდავს, იმის მოვლენას ეს დიდის სიხარულით ეგებება, არ იცის როგორ და რა ნაირად განაცხადოს თავის აღტაცება. ასევე ახარებს და აძლიერებს ჩვენი მწერლობის ასპარეზზედ რიგიანი, ნიჭიერი მწერლების გამოჩენა და გამრავლება, დამსახურებულ პირებში მეტის სიმპატიით უმზერის აკაკის და ილიას. ესენი სახელია ჩვენის ტომისა და სახსარიო, ამათი ლექსები და ნამეტურ აკაკის

რომ გადითარგმნოს ევროპიულს ენებზედ და დაიბეჭდოს, მით ჩვენ ჯეროვნად გამოვჩნდებითო. ეს პირები მას დიდს საპატიო პირებად მიაჩნია. ასევე დააფასა ან. ფურცელაძის შრომა „ბრძოლა საქართველოს მოსპობაზედ“. ერთხელ სთქვა: ნახეთ რა შრომა გამოაქვეყნაო, ეს ნაწერი მეტად საყურადღებოა. ასევე აფასებდა პატივცემულის ისტორიკოსის ნ. ხიზანაშვილის შრომას, პროფესორს ხახანაშვილს, მ. ჯანაშვილის დაუცხრომელ საპატიო ღვაწლს და ბევრ კიდევ სხვებისას.

ი. გოგებაშვილი დიდი პატივის მცემელია ქართველ რიგიან მასწავლებლების, ოღონდ კაცი კაი მასწავლებელი იყოს და იგი სულ ერთია მისთვის გინდა მწერალი ყოფილა და გინდ მარტო სკოლის მოღვაწე, მისთვის ორივ ერთია, რადგანაც სკოლა და მასწავლებელი ჩვენთვის და საერთოთ მთელის ერისთვის დიდ რამეს ნიშნავს, დიდ განძს, მასწავლებლობა ისეთ წმინდა ხელობათ არის მიღებული და დამტკიცებული, რაისა გამო ყოველი მსწავლებელი, ვისაც კი კაცთ მოყვარეობის რამე სცხია და მომავალის ძეთა განკაცებას ელტვის, ის პატივ საცემია ყველასაგან. ამიტომაც ი. გოგებაშვილი ქართველთ მასწავლებლების საქმეს დიდის თანაგრძნობით და სიბრალულით უმზერს. კარგს მასწავლებელზეა დამოკიდებული სკოლის ბედნიერება და ბავშვების რიგიანად განკაცება.

ეს რასაკვირველია ასე უნდა იყოს. ჩვენში ძრიელ ბევრნი არიან ისეთი მასწავლებელნი, რომელთაც მწერლობაში

მონაწილეობა არ მიუღიათ, არა დაუწერიათ რა, მაგრამ მის ნაცვლად იგინი ყოფილან და არიან უანგარო, სამაგალითო მამულის შვილები. მწერალი, მწერლობა და მოსწავლეთ მასწავლებელი მე ორივ ერთად მიმაჩნია, ამიტომ ყოველი პირი მოვალეა, რომ მასწავლებელს ისე უმზიროს როგორც მწერალს და უფრო მეტადაც, ხანდისხან კაცი მთელის თავის მწერლობით ათ კაცსაც ვერ აღზრდის და განაკაცებს და ქა-

რთველ მასწავლებელს კი ასობით გამოჰყავს წერა-კითხვის მცოდნენი, რომელნიც შემდეგში ჩვენს ქვეყანას ოთხივ კუთხივ ეფინებიან და ბევრს საქმეში თავსაც იჩენენ. ამიტომ ყოველი მასწავლებელი თავის ცოცხალის მოქმედებით მაღლა სდგას მწერალზედ და იგი ანათებს მეტყველის ენით ხშულთა გონებას და მათში უაღრესად შეაქვს მწერალთა ნაწერების უბრწყინვალესი სხივები.

ი. გოგებაშვილი ხანში შესული პირი ბრძანდება, მან თავის ცხოვრების გზა და შრომა ბევრის ტვირთვის წევით გაატარა. ყოველმა მისმა ნაბიჯმა გამოიარა ათას ნაირი ცილის წამება, მისმა წერილებმაც ვინ იცის რამდენ ნაირი გმობა და მუქარება არ მიიღეს უსამართლო პირებისაგან, მაგრამ იგი მაინც დარჩა ნამდვილ მამულის შვილათ თავის ქვეყნისა, იგი მოესწრა ცხადათ, დაინახა თავის თვალით ის მაგალითებიც, რომ მისის დედაენის და „ბუნების კარით“ განკაცებულ ქა-
რთველ ყმაწვილებმა ქართულს ენაზე იწყეს მწერლობა და ლექსების წერა, დღეს ასეთის ყმაწვილებით სავსეა თბილისი, მასთან სხვა ქალაქები და სოფლებიც, მათ „დელა-ენას“ და „ბუნების კარის“ გარდა სხვა არაფერი წიგნები წაუკითხავთ, ამ წიგნებს მათზე ისეთი ზეგავლენა მოუხდენია, რომ ხსენებულ ახალ მოსწავლენი ამ წიგნების კითხვის მეოხებით კაცად ქცეულან და გონებითი განვითარებითაც ისე წინ წასულან, რომ უკანასკნულ თავიანთ ცხოვრების შესახებ შენიშვნების წერაც დაუწყვიათ. მისის წიგნებით გაზდილ რიგიან ყმაწვილების რიცხვი ჩვენში ერთობ დიდია და რაც ხანი გადის, მით უფრო მატულობს. ჩვენ უნდა პირნათლად ვაუწყოთ ჩვენს საზოგადოებას, რომ ი. გოგებაშვილის წიგნები ისეა შედგენილები, რომ ქართველი კაცი თუ ქართულს ანბანს შეისწავლის და მერე ამის წიგნებს წაიკითხავს, მის შემდეგ მას ფიქრი აღარაფრის ექნება. მას თავისუფლად შეეძლება ქართულ მწიგნობრობის გაგება და მასთან დაახლოვება, წერაც.

მან თავის „დედა-ენაში“ აღადგინა დაცემული დედა-ენა ქართველთა. „დედა-ენაში“ მან შეკრიბა ქართველ ტომის მონათესავეთა ყველა სიტყვები, ერთი წიგნი შეადგინა და დღეს ამ წიგნის მეოხებით მთელი ქართველობა, ყველა თემის დ ხელობის მონათესავენი, ერთის ქართულის ენით იწყებენ წერა-კითხვის სწავლებას და ლაპარაკს. ყველგან ამ წიგნის მეოხებით სამოქალაქო ქართული ენა იფინება.

იაკ. გოგებაშვილმა თავის დროს მშვენიერი ქართული დედანიც დაბეჭდა. ამის დედანი მოწონებულ იქმნა მრავალ მსწავლულ ქართველთაგან და დიდის პატივითვე მიღებული. ზოგნი ჰყვედრიდენ მის გამო რომ იგი ქართველთ კარგად დედნების შემდგენთ გზაში ეღობებაო. მაგრამ ეს არ იყო მართალი, დედნის დაბეჭდვა ი. გოგებაშვილში გამოწვეულ ჰყო იმ გარემოებამ უფრო, რომ 1879 წ. თფილისში გამოიცა ან. ჯუღელისაგან შედგენილი ქართული დედანი სურათებით და მასთანვე პატარა ანბანის წიგნიც რომელნიც თუმცა ვერ აღმოსჩნდენ დიდის ღირსების, მაგრამ მსვლელობა კი ფართო მიეცათ. უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლესად ქართველ დედნების შემდგენნი მეტათ ხამად და უადვილესად ეწინაღმდეგებოდნენ ქართულის პალიოგრაფიის ჭეშმარიტს წერის წესდებას. ამათის შეცდომის მეოხებით ქართულ პალიოგრაფიას თავისი საკუთარი სახე წაეშლებოდა და აქაც გადაზნექილი ხელის წერის წესი წავიდოდა წინ, მაგრამ ამას წინ გადაეღობა ი. გოგებაშვილი და განძრახულებით თუ უნებლიეთ აზვავებულს შეცდომას ფრთები შეაკვეცა.

ქართულს ენაზე როცა საყმაწვილო ჟურნალ „ნობათი“ დაარსდა, ეს პირველი მაგალითი იყო და მიტომ ი. გოგებაშვილმა ჟურნალის მოვლენას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია, მის წარმატება დიდათ სურდა, ნომრებს გარჩევა დაუწყო, შემდეგ ჟურნალში თვითაც დაიწყო შრომა, მაშინ ჩვენში საბავშვო გამოცემა კი არა და საერო გამოცემაც ვერ სულდგმულებდა, ჟურნალის რედაქტორმა ბევრნაირათ იმე-

ცადინა. მაგრამ ცდა დაუხმარად უნაყოფოდ დაუშთა, ჟურნალი უდროვოთ მოისპო. ეს გარემოება ძრიელ ბევრს ეწყინა და ნამეტურ იაკობ გოგებავილს, რომლის სანანურსაც საზღვარი არ ჰქონდა. „ნობათის“ შემდეგ „ჯეჯილის“ გამოცე-

მასაც ასეთისავე თვალით შეხედა და მისის არსებობისთვის ბევრნაირი ამაგიც მიუძღვის სიტყვით, თუ წერით.

ამიტომაც მე ვუწოდებ მას თავის დროის კვალად ქართველთ დიდს მოღვაწე მოძღვრად და მასთანვე ქართველებში დედა ენის და მწიგნობრობის აღმდგენათ, ვამბობ და ვიტყვი, რომ ი. გოგებაშვილმა მოჰფინა საქართველოს ერში ქართული წერაკითხვა ერთის კარგის შემუშავებულის ქართულის ენის კილოთი. იგი არის ჩვენი კომენსკი, პესტალოცი, რუსო და ქართველთ ტომისთვის უფრო მეტიც, როცა დრო მოვა და მეცხრამეტე საუკუნის ქართველთ სწავლის ისტორია დაიწერება, იქ ი. გოგებაშვილი ერთ განმარტოებულს საპატიო ადგილს დაიკავებს, იგი დაამშვენებს მთელ მეცხრამეტე საუკუნეს ქართველთ განვითარების აღორძინების ისტორიას. ყოველივე ჩვენი ნათქვამი დამტკიცდება მაშინ, როცა ვინმე ამ პირის მოღვაწეობის ისტორიას დაწვრილებით შეისწავლის, მასთანვე შეისწავლის ყველა მის ნაწერებს, როგორც ქართულს, ისევე რუსულს, რომელნიც ერთობ დიდის ხნის განმავლობაში გაფანტულა აქა იქ სხვა-და-სხვა გაზეთებში.

სანატრელია, რომ ყველა ამის ქართული ნაწერები მაინც იქმნას შეკრებილ და ცალკე ტომებათ გამოცემული, რომელ წიგნებიც ქართველთ შვილებისათვის აღმზრდელათ იქმნება და „დედა-ენით“ განსწავლულ ყმაწვილების გულში ბრწყინვალე ლამპარსაც აღანთებს.

ზ. ჭ.